პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 28-ე წელი

პარასკევი, 2 აპრილი, 1948 წ. № 67 (8111). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გავაძლიეროთ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ტემპი! — „პრავდის" 31/III მოწინავე (1-ლი გვერდი).
დარბაზობა ვ. მ. მოლოტოვთან ფინეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად (1-ლი გვერდი).
სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვერდი).
საგაზაფხულო ხვნა-თესვა (მე-3 გვერდი).
პროტესტი ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის გემის „როსიის" დაკავების წინააღმდეგ (მე-3 გვერდი).
საბჭოთა მშენებლობა (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

გავაძლიეროთ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ტემპი!

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონში ნათქვამია:

„უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაციის შემდგომი განვითარება. გაიშალოს სოფლად მცირე ჰიდროსადგურების მშენებლობა, ხოლო იმ რაიონებში, სადაც ჰიდრორესურსები არ არის, ადგილობრივ სათბობზე მომუშავე ლოკომობილურ და გაზგენერატორულ ძრავებიანი თბოელექტროსადგურების მშენებლობა".

სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია ომისშემდგომი ხუთწლედის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა. ელექტროფიკაცია შესაძლებლობას იძლევა უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება, შრომის ნაკლები დახარჯვით მივიღოთ მეტი პროდუქცია, ავამაღლოთ საკოლმეურნეო სოფლის მთელი კულტურა.

იმ ფართო გაქანებით, რომლითაც უკანასკნელ წლებში სწარმოებს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის სამუშაოები, გამოხატულება ჰპოვა საკოლმეურნეო წყობილების დიდმა სასიცოცხლო ძალამ. სოფლის მეურნეობისათვის ომით მიყენებული უდიდესი ზარალის მიუხედავად, ჩვენი კოლმეურნეობები არა მარტო მტკიცედ დგანან, არამედ რწმენით მიდიან წინ, იარაღდებიან ახალი, მოწინავე ტექნიკით, მუშაობენ უფრო ნაყოფიერად და კულტურულად.

ჯერ კიდევ საკოლმეურნეო მოძრაობის გარიჟრაჟზე ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ მასობრივი კოლექტივიზაციის შედეგად „ქალაქისა და სოფლის ურთიერთობის საკითხი ახალ ნიადაგზე დგება, რომ განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის დაჩქარებული ტემპით გაქარწყლდება". რაც უფრო აიარაღებს ჩვენს სოფელს სოციალისტური მრეწველობა სამანქანო ტექნიკით, გლეხის შრომა მით უფრო ხდება ინდუსტრიული შრომისნაირსახეობად, ხოლო თვით გლეხი თავისი ტექნიკური და კულტურული დონით სულ უფრო უახლოვდება ინდუსტრიული მუშის ტექნიკურ და კულტურულ დონეს.

ომის წინ ჩვენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე მუშაობდა 530 ათასი ტრაქტორი, 182 ათასი კომბაინი, 228 ათასი სატვირთო ავტომობილი, ასიათასობით სასოფლო-სამეურნეო მანქანა.

ომმა დიდი ზარალი მიაყენა სოფლის მეურნეობის ტექნიკურ ბაზას. ამ ზარალის აღდგენა ამჟამად ხდება სატრაქტორო ქარხნებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხნების გაძლიერებული მუშაობით. აღდგენის პროცესში არიან და სწრაფად მიდიან წარმოების ომამდელი დონისაკენ გერმანელი ოკუპანტების მიერ დანგრეული ქარხნები—სტალინგრადისა და ხარკოვის სატრაქტორო, ზაპოროჟიეს კომბაინების, როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სხვა. შენდება ახალი ქარხნები. გავა ცოტა დრო, და ჩვენს სოფლის მეურნეობას ექნება გაცილებით მეტი ტრაქტორი, კომბაინი და სხვა მანქანები, ვიდრე ომამდე ჰქონდა.

ელექტროფიკაცია ნიშნავს ახალს, უფრო მაღალ საფეხურს სოფლის მეურნეობის მექანიზაციაში. იმ ოლქების მაგალითი, სადაც ამ საქმეს ენერგიულად მოჰკიდეს ხელი, თვალსაჩინოდ მოწმობს, თუ რა უმდიდრეს პერსპექტივებს სახავს ელექტროფიკაცია სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის. სოფლის ელექტროფიკაციის პიონერად გამოვიდა სვერდლოვსკის ოლქი. ურალის მძლავრ ინდუსტრიაზე დაყრდნობით სვერდლოვსკის პარტიულმა ორგანიზაციამ შესძლო ეს საქმე ისეთი ტემპით წაეწია წინ, რომ ოლქის კოლმეურნეობათა ელექტროფიკაცია ძირითადად უკვე დამთავრებულია. ყველა კოლმეურნეობის თითქმის ნახევარი ელექტროფიცირებულია ჩელიაბინსკის ოლქში. დიდი წარმატებები მოიპოვეს უკანასკნელ ორ წელიწადში მოსკოველებმა.

ამას წინათ საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებულმა პლენუმმა მოისმინა ოლქის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის საკითხი. პლენუმზე მოიყვანეს ციფრები, რომლებიც ცხადჰყოფენ, თუ რა უდიდესი შესაძლებლობანი გაგვაჩნია კოლმეურნეობების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ელექტროფიკაციისათვის. ომამდე მოსკოვის ოლქში ელექტროფიცირებული იყო კოლმეურნეობათა საერთო რიცხვის მხოლოდ 8 პროცენტი — ერთ მეათედზე ნაკლები. ომმა დროებით შესწყვიტა ეს სამუშაოები, იგი განახლდა ომის დამთავრების შემდეგ, ფართო მასშტაბით კი — მხოლოდ 1946 წლიდან. ამ ორი წლის მანძილზე ჩატარდა უდიდესი მუშაობა და ამჟამად მოსკოვის ოლქში უკვე ელექტროფიცირებულია კოლმეურნეობათა 42 პროცენტი. არის ისეთი რაიონები, როგორც მაგალითად, რუზის რაიონი, სადაც მთლიანი ელექტროფიკაცია განხორციელდა ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში.

საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საოლქო და საქალაქო კომიტეტების გაერთიანებულმა პლენუმმა დასახა ამოცანა — აგებულ იქნას 500 სასოფლო ელექტროსადგური და ამით ძირითადად დამთავრდეს ოლქის სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია არა ხუთწლედის ბოლოს, არამედ ერთი წლით ადრე. დასახულია ამ დიდი ამოცანის განხორციელების პრაქტიკული გზები. ეს გზები ნაკარნახევია ცოცხალი გამოცდილებით, ხალხის ინიციატივით. იმისათვის, რომ რაიონში გვქონდეს ელექტროენერგია, ადამიანის მეტი ენერგია უნდა დავხარჯოთ! და იქ, სადაც ამ ენერგიას იყენებენ, სადაც არ ზოგავენ შრომასა და ძალას, ეს ასკეცად ანაზღაურდება.

სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციაში განსაკუთრებული სიცხადით ჩანს იმ საწარმოო დახმარების დიდი როლი, რომელსაც სოციალისტური ინდუსტრია უწევს საკოლმეურნეო სოფელს. მოსკოვის ქარხნებმა ათობით მილიონი მანეთის მოწყობილობა და სხვადასხვა მასალა დაამზადეს სასოფლო ელექტროსადგურებისათვის. მოსკოვის ქარხნების ჯგუფი უკვე შეუდგა ფართო კოოპერირების საფუძველზე ელექტროსადგურებისათვის იაფი და ეკონომიური ძრავის, ადგილობრივი სათბობით მომუშავე ლოკომობილის წარმოების ათვისებას. მოსკოვის საპროჟექტორო ქარხნის მუშებმა და სპეციალისტებმა თავიანთი ინიციატივით გადასწყვიტეს მოაწყონ გენერატორების დამზადება სასოფლო ელექტროსადგურებისათვის, ამასთან უკვე წელს იკისრეს მოგვცენ პირველი ხუთასი ასეთი გენერატორი, ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ ძირითად საწარმოო პროგრამას.

შეფების დახმარება საჭირო და უაღრესად დიდმნიშვნელოვანი საქმეა. იგი უნდა გაგრძელდეს სულ უფრო მზარდი მასშტაბით. მაგრამ სწორი არ იქნებოდა, რომ სოფლის ელექტროფიკაციის სამუშაოთა მთელი სიმძიმე დაგვეკისრებინა შეფი-საწარმოებისათვის. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებობს ელექტროფიკაციის სამმართველო, რომელიც ამ საქმის სული და გული უნდა იყოს.

მაგრამ ეს სამმართველო (უფროსი ამხ. სუსლოპაროვი) მუშაობს კუსტარულად, სათანადო გაქანების უქონლად. მას არა ჰყავს სპეციალისტთა საჭირო კადრები. ელექტროსადგურების პროექტები, რომლებსაც სამმართველოს საოლქო ტრესტები ადგენენ, ძვირი ჯდება და ამიტომ ბევრი კოლმეურნეობისათვის მიუწვდომელია. ცუდად ხელმძღვანელობს სამმართველო უკვე მოქმედი ელექტროსადგურების ექსპლოატაციასაც. თუ მწყობრიდან გამოვიდა რომელიმე მანქანა, — მისთვის სათადარიგო ნაწილს დღისით მზისით ვერ იპოვი. სასოფლო ელექტროსადგურების ქსელი იზრდება. საჭიროა ვიზრუნოთ მონტიორების, მექანიკოსებისა და სხვა მომსახურე პერსონალის კადრების ორგანიზებულ მომზადებაზე. სამმართველო ამაზეც არ ზრუნავს, თუმცა ბევრ ელექტროსადგურში მანქანებს მომსახურებას უწევენ არაკვალიფიციური, გამოუცდელი ადამიანები და ეს მთელ რიგ შემთხვევებში ავარიებს იწვევს. სამმართველოს ხელმძღვანელები იშვიათად დადიან სასოფლო ელექტროსადგურების მშენებლობებზე.

„გლავსელელექტროს" არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად მთელ რიგ ოლქებში კოლმეურნეობათა ელექტროფიკაცია შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ასეთ ოლქებს ეკუთვნიან კალუგის, სმოლენსკის, რიაზანის, კიროვის, ტულის, ვლადიმირის ოლქები, ალტაის მხარე და სხვები.

თავისთავად იგულისხმება, რომ ელექტროფიკაციის წარმატების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღება, დახმარება და ინიციატივა. ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევიან მოსკოვის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკისა და სხვა ოლქების პარტიული ორგანიზაციები, სადაც სოფლის ელექტროფიკაცია ნამდვილად ხალხური საქმე გახდა, სადაც ამ სამუშაოში ჩაბმული არიან კოლმეურნეთა ფართო მასები, სადაც კომუნისტები ამ საქმის ნამდვილ ცოცხალ სულსა და გულს წარმოადგენენ, მისი ორგანიზატორები და ინიციატორები არიან.

მოკლე ვადაში ყველა კოლმეურნეობის ელექტროფიკაციის განხორციელება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში ელექტროენერგიის ფართოდ გამოყენება ნიშნავს იმას, რომ ახალი დიდი ნაბიჯი გადავდგათ წინ სოფლის მეურნეობის ომისშემდგომი აღმავლობის გზაზე.

„პრავდის" 31/III მოწინავე

დარბაზობა ვ. მ. მოლოტოვთან ფინეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

30 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა დარბაზობა გამართა ფინეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ ფინეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი მ. პეკალა, საგარეო საქმეთა მინისტრები ბ-ნი კ. ენკელი და ბ-ნი რ. სვენტო, შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. ლეინო, ფინეთის სეიმის ვიცე-თავმჯდომარე ბ-ნი უ. კეკონენი, სეიმის დეპუტატები ბ-ნი ო. პელტონენი და ბ-ნი ი. სედერიელმი, სსრ კავშირში ფინეთის მისიის წევრები დესპან ბ-ნ კ. სუნდსტრემის მეთაურობით და მოსკოვში აკრედიტებული უცხოეთის საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

დარბაზობას აგრეთვე დაესწრნენ მოსკოვში მყოფი მონღოლეთის სავაჭრო დელეგაციის წევრები პრემიერ-მინისტრის მოადგილის ბ-ნ ს. ლუბსანის მეთაურობით, ბულგარეთის სავაჭრო დელეგაციის წევრები ვაჭრობისა და სურსათის მინისტრის ბ-ნ კ. დობრევის მეთაურობით და პოლონეთის სავაჭრო დელეგაციის წევრები.

საბჭოთა მხრივ დარბაზობას დაესწრნენ რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ი. როდიონოვი, სსრ კავშირის მინისტრები ი. ვ. კოვალიოვი, დ. გ. ჟიმერინი, გ. მ. ორლოვი, ლ. პ. გრაჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ი. ვიშინსკი, ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის ელჩები ა. ა. ლავრიშჩევი, ნ. ვ. როშჩინი, სსრ კავშირის დესპანი ფინეთში გ. მ. სავონენკოვი, ავიაციის მარშალი კ. ა. ვერშინინი, საინჟინრო ჯარების მარშალი მ. პ. ვორობიოვი, არტილერიის მარშალი ნ. დ. იაკოვლევი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, ვ. ნ. მერკულოვი, ი. ა. პარფენოვი, ბ. ნ. ჩერნოუსოვი, კ. პ. ფირიუბინი, პ. ვ. აბრამოვი, ნ. გ. პალგუნოვი, რსფსრ განათლების მინისტრი ა. ა. ვოზნესენსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, ხელოვნების მოღვაწეები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები.

დარბაზობამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

დარბაზობა ფინეთის მისიაში

31 მარტს ფინეთის დესპანმა სსრ კავშირში ბ-ნმა კ. სუნდსტრემმა დარბაზობა მოაწყო მოსკოვში მყოფ ფინეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ: ფინეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი მ. პეკალა, საგარეო საქმეთა მინისტრები ბ-ნი კ. ენკელი და ბ-ნი რ. სვენტო, შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. ლეინო, ფინეთის სეიმის ვიცე-თავმჯდომარე ბ-ნი უ. კეკონენი, სეიმის დეპუტატები ბ-ნი ო. პელტონენი და ბ-ნი ი. სედერიელმი და სხვა ოფიციალური პირები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ი. ვიშინსკი და ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის დესპანი ფინეთში გ. მ. სავონენკოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ვ. აბრამოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი, გენერალ-ლეიტენანტი ნ. ვ. სლავინი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე ვ. ს. კემენოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-5 ევროპული განყოფილების გამგე ა. ნ. აბრამოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა საზოგადოებრიობისა და საბჭოთა პრესის წარმომადგენლები.

სტუმართა შორის იყვნენ მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები, აგრეთვე უცხოელი კორესპონდენტები. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების რატიფიკაცია

1948 წლის 30 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და უნგრეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მოსკოვში 1948 წლის 18 თებერვალს.

ხარატმა მეშკოვმა 7 წლიური ნორმა შეასრულა

ლენინოგორსკი, (აღმოსავლეთ ყაზახეთის ოლქი), 30 მარტი. (საკდესი). ხარატი მეშკოვი ლენინოგორსკის პოლიმეტალური კომბინატის ცენტრალურ მექანიკურ სახელოსნოებში ხუთი წლის წინათ მოვიდა სახელოსნო სასწავლებლიდან. ომისშემდგომი ხუთწლედის დასაწყისისათვის იგი უკვე გამოცდილი ხარატი იყო. მეშკოვმა იკისრა, რომ ხუთწლიან დავალებას 2 წლის განმავლობაში შეასრულებდა.

ახალგაზრდა ხარატმა ბევრი ახალი რამ შეიტანა დეტალების დამუშავების ტექნოლოგიაში. მან პირველმა დაიწყო ტრაქტორის მოტორის მასრების ერთდროული გარეგანი და შინაგანი დამუშავება. ამან ერთიორად გაადიდა შრომის ნაყოფიერება. მეშკოვმა ერთიორად გაადიდა აგრეთვე დგუშის რგოლების დამუშავების სიჩქარე.

თავისი ხუთწლიანი დავალება ამხ. მეშკოვმა 20 თვეში შეასრულა. ამას წინათ მან დაამუშავა უკანასკნელი დეტალები მე-7 წლის დავალების ანგარიშში.

სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

მარტის მესამე დეკადის შედეგები

ბელადის სახელობის ქარხანაში

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მოსამზადებელ საამქროთა მუშებს შორის პროფესიების მიხედვით გაჩაღებულ შეჯიბრებაში მარტის მესამე დეკადიდან ჩაება სამჭედლო და სამსხმელო საამქროების თითქმის ყველა მუშა. მჭედლებმა, მეყალიბეებმა და მსხმელებმა შესამჩნევად გააძლიერეს მუშაობის ტემპი და ბევრად უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს, ვიდრე წინა დეკადებში.

მჭედლებს შორის მესამე დეკადაშიაც პირველი ადგილი შეინარჩუნა კ. ილურიძემ, რომელიც საშუალოდ ყოველდღე გეგმას 368 პროცენტით ასრულებდა. მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. გამხუაშვილი. იგი დეკადურ დავალებას ყოველდღე საშუალოდ 318 პროცენტით ასრულებდა. კარგი შედეგები მოიპოვა მესამე დეკადაში ვ. ხარჩილავამ, რომელმაც მარტის მესამე დეკადის გეგმა 239,3 პროცენტით შეასრულა. შეჯიბრებაში ახლად ჩაბმულ მჭედელთა შორის საუკეთესო მაჩვენებლები მოგვცა სტახანოველმა მ. გუგულაშვილმა. მან დეკადური დავალება 233 პროცენტით გაანაღდა.

საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა მჭედლებმა — ს. ამბარცუმიანმა, ნ. ჩომახიძემ, ბ. სადაღაშვილმა, მ. ვაშაკიძემ, ი. ნეჟინსკიმ, მ. ხუციშვილმა, ს. ტურაშვილმა, ნ. მარკოზაშვილმა და შ. გლარჯაძემ.

ლითონმსხმელთა შორის მესამე დეკადაში პირველობა შეინარჩუნა თ. ლორთქიფანიძემ, რომელმაც დავალება 273,7 პროცენტით გაანაღდა. კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს აგრეთვე მეყალიბე ნ. ანისიმოვმა (224,4 პროცენტი) და გ. ლაგრაძემ (233,2 პროცენტი).

მემოდელეთა შორის დაწინაურდა ვ. სადჩიკოვი, რომელმაც დეკადური დავალება 409,1 პროცენტით შეასრულა, ხოლო მეკოპეთა შორის ვ. კოკევი (238,4 პროცენტი) და ი. კილაძე (137,8 პროცენტი).

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში

მჭედლებს შორის მესამე დეკადაშიც ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მოგვცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ვ. კორძაძემ, რომელიც ნორმებს ყოველდღე საშუალოდ 417 პროცენტით ასრულებდა.

მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია აგრეთვე მჭედელმა ი. სპიცინმა. იგი ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს საშუალოდ 364 პროცენტით ანაღდებდა. შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა ახალგაზრდა მჭედელმა ვ. სოზაშვილმა, რომელმაც დეკადური დავალება 196,1 პროცენტით შეასრულა.

ქარხნის სამსხმელო საამქროში მომუშავე მეყალიბეებს შორის პირველი ადგილი მოიპოვა ი. მირზოევმა (359,3 პროცენტი), ხოლო მეორე—ტ. ვაშჩენკომ (276 პროცენტი). ლითონმჭრელთა შორის ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები (270 პროცენტი) მოგვცა ი. ხახუტაშვილმა.

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში

მჭედლებმა პ. ლუგანსკიმ და მ. პლესკოტინმა მარტის მესამე დეკადაში თავიანთი საწარმოო გეგმები 320 პროცენტით შეასრულეს, ხოლო თვიური დავალებანი 300 პროცენტით გაანაღდეს. მარტში მაღალნაყოფიერად მუშაობდა აგრეთვე ახალგაზრდა სტახანოველი, დემობილიზებული შ. მანველიძე, რომელმაც თვიური გეგმა 275 პროცენტით შეასრულა.

ზეინკლებს შორის შეჯიბრებაში კვლავ პირველობას ინარჩუნებენ ა. ზენდიანიშვილი და ო. ფარცხალავა. მათ მესამე დეკადის ნორმები 450 პროცენტით გაანაღდეს, ხოლო მარტისა—420 პროცენტით. პ. ბაბენკომ მარტის გეგმა შეასრულა 300 პროცენტით, ვ. ზახარკინმა—250 პროცენტით, ახალგაზრდა სტახანოველებმა გ. ბედოშვილმა და ვ. მუხინმა—200 პროცენტით.

მეყალიბე ს. დოროფეევმა მესამე დეკადის დავალება 225 პროცენტით შეასრულა, მარტისა—220 პროცენტით. გ. ლაშქარაშვილმა და დ. დანილოვმა დეკადური გეგმები 125 პროცენტით შეასრულეს.

ხარატებს შორის შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა სტახანოველი ი. უკოლოვი, რომელიც დღიურ დავალებებს 500-ზე მეტი პროცენტით ასრულებს. მესამე დეკადაში მისი საწარმოო მაჩვენებელია 550 პროცენტი. ა. აგაჯანოვმა გეგმა შეასრულა 450 პროცენტით, ვ. ლელუაშვილმა და ს. ბრონიკოვმა—370 პროცენტით, დ. ჩარკვიანმა 250 პროცენტით და ა. მეტრეველმა—150 პროცენტით.

სპილენძსაგლინავ ქარხანაში

მდნობელებმა ვ. ბენდიანიშვილმა (ბრიგადირი), გ. მჭედლიშვილმა და ვ. მიშენკომ მარტის საწარმოო გეგმა 139 პროცენტით შეასრულეს, ხოლო მესამე დეკადის ნორმები 152 პროცენტით.

მტკეცავებმა ნ. შომახიამ (ბრიგადირი), გ. სეფაშვილმა, ნ. კუხიაშვილმა, გ. თარაშვილმა, ლ. კოტოვმა და გ. მალიმ მესამე დეკადის ნორმები 150 პროცენტით გაანაღდეს.

გამკრიალებელი ი. ქვათაძე (ბრიგადირი) და შ. თარაშვილი ყოველდღიურ ნორმებს 220-260 პროცენტით ასრულებენ. მესამე დეკადის დავალება მათ 250 პროცენტით შეასრულეს.

საუკეთესო სადნობი საამქრო

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს კოლეგიამ თებერვლის მაჩვენებლების მიხედვით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის სადნობ საამქრო სცნეს სადნობ საამქროთა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად, მიაკუთვნეს მას „სსრ კავშირის საუკეთესო სადნობი საამქროს" სახელი და პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსა და შავი მეტალურგიის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

საამქროს კოლექტივმა თებერვლის საწარმოო დავალება შეასრულა 137,9 პროცენტით. ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება შემდგომ თვეებში კიდევ უფრო მეტი წარმატებების მოპოვებისათვის.

სოციალისტური შრომის გმირები

ვ. მ. ჩიქავა

ზუგდიდის რაიონის სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილების გამგე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანი ალების 35,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

მ. გ. საბახტარიშვილი

ცხაკაიას რაიონის სოფლის მეურნეობის რაიონული განყოფილების მთავარი აგრონომი. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში სიმინდის მოსავლის გეგმიანი ალების 47,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ლ. ნ. კილავა

წალენჯიხის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 70,25 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.

ხ. ა. თოდუა

გალის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 101,7 ცენტნერი სიმინდის მიღებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია

კამათი საქართველოს სსრ 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ ა. მ. როგავას სიტყვა

(ზუგდიდის რაიონი, ნარაზენის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიულმა დადგენილებამ ახალი შრომითი აღფრთოვანება გამოიწვია ზუგდიდის რაიონის მშრომელებში. კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შეასრულეს და გასული წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს. გეგმით გათვალისწინებული 3.770 ათასი კილოგრამის ნაცვლად მოკრეფილ იქნა და სახელმწიფოს ჩაბარდა 4.262 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 112 პროცენტს შეადგენს. გადაჭარბებით შესრულდა ტუნგოს, თამბაქოს, ციტრუსების, აბრეშუმის პარკის დამზადების სახელმწიფო გეგმები. 1947 წელს ერთიორად გადიდდა სიმინდის მოსავლიანობა. გეგმით გათვალისწინებული 11 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 15 ცენტნერი სიმინდი. ცალკეულმა კოლმეურნეებმა, ბრიგადებმა და რგოლებმა გაცილებით მეტი მოსავალი მიიღეს. ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 39 ცენტნერი, სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობამ — 290 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი, კოლმეურნეობა „კომუნიზმმა" — 24 ცენტნერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით ჩვენი რაიონის 38 მოწინავე ადამიანს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 41, შრომის წითელი დროშის ორდენით 32 და მედლებით 80 მშრომელი. მათ შორის ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა ათ კოლმეურნეს, ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 5, შრომის წითელი დროშის ორდენით 5 და მედლით 6 კოლმეურნე.

მაღალი ჯილდოს პასუხად რაიონის კოლმეურნეებმა იკისრეს 1948 წელს გამოჰყონ 1.000 ჰექტარი მაღალმოსავლიანი ჩაის პლანტაცია, 900 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფონ სულ მცირე 3.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 100 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე — 5.000 კილოგრამი, ხოლო დანარჩენ პლანტაციებში გეგმით დაწესებულ საშუალო მოსავალზე არანაკლები.

დიდი ყურადღება ეთმობა სხვა კულტურების მოსავლიანობის გაზრდის საქმესაც. კოლმეურნეობებში წელს დაითესება 6.800 ჰექტარი სიმინდი, საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იქნება 20 ცენტნერი. მოეწყობა 1.000 ჰექტარი მაღალმოსავლიანი ფართობი, რომლის 500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიღებული იქნება 70 ცენტნერი სიმინდი, 500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე კი 60 ცენტნერი.

ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებს განზრახული გვაქვს თვითეულ ჰექტარზე წელს მოვკრიფოთ 7.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, და ჩავაბაროთ ჩაის ფაბრიკებს 410.000 კილოგრამი ნედლეული. ჩვენ მიზნად გვაქვს დასახული აგრეთვე, რომ 110 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 50 ცენტნერი, ხოლო 30 ჰექტარი მაღალმოსავლიანი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერი სიმინდი. ვენახის მოვლა-დამუშავების აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებით 1948 წელს უზრუნველყოფილი იქნება 20 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 65 ცენტნერი ყურძნის მიღება. მეოთხე ხუთწლედის ბოლოსათვის დამატებით გავაშენებთ 15 ჰექტარ ახალ ვენახს, მათ შორის 10 ჰექტარ ოჯალეშის ჯიშის ვაზს. ტუნგოს მოსავალი ჰექტარზე მიღებული იქნება 45 ცენტნერი, ციტრუსების ნაყოფს სახელმწიფოს ჩავაბარებთ 3 მილიონ ცალს, ნაცვლად 1947 წელს ჩაბარებული 1 მილიონი ცალისა.

კოლმეურნეობები უკანასკნელ წლებში კიდევ უფრო განმტკიცდნენ მეურნეობრივად, ორგანიზაციულად. რაიონის 51 კოლმეურნეობიდან 19 მილიონერია. მნიშვნელოვნად გადიდდა შრომადღის ღირებულება. ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობების საწარმოო საშუალებათა ღირებულება და შემოსავლიანობა. წელს ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ფულადი შემოსავალი მიაღწევს 8 მილიონ მანეთს, შრომადღეზე განაწილდება 40 მანეთი ფულად და 5 კილოგრამი მარცვლეული. ამ კოლმეურნეობაში წელს დამთავრდება საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობის აგება. კოლმეურნეობათა ყველა ოჯახი უკვე ელექტროფიცირებულია, გაგვაქვს წყალსადენი.

ამხანაგო დეპუტატებო! მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს სესიაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილი 1948 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით ზუგდიდის რაიონის ბიუჯეტის ზრდა 1947 წელთან შედარებით 3,5 პროცენტს შეადგენს, მინდა მოვახსენო სესიას, რომ სკოლების რემონტისა და კეთილმოწყობისათვის, აგრეთვე წინა წლიდან გადმოსული ორი სასკოლო შენობის აგების დამთავრებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხები არასაკმარისია. ამიტომ ვთხოვ მინისტრთა საბჭოს 720 ათასი მანეთით გაადიდოს ასიგნებანი აღნიშნული ღონისძიებებისათვის.

ქალაქ ზუგდიდის კეთილმოწყობისათვის და კომუნალური მეურნეობის გაფართოებისათვის ვთხოვ სესიას აგრეთვე გამოჰყოს დამატებით 200 ათასი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო, ვუერთდები სიტყვებით გამოსულ დეპუტატთა წინადადებებს, რომ დამტკიცდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი საბიუჯეტო კომისიის შესწორებებით.

ზუგდიდის რაიონის მშრომელები კიდევ უფრო გააუმჯობესებენ მუშაობას და უზრუნველჰყოფენ 1948 წლის ბიუჯეტის წარმატებით შესრულებას.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის საყვარელ შვილს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას!

დიდება ჩვენს მამასა და მასწავლებელს დიდ სტალინს! (ტაში).

დეპუტატ გ. დ. ისიანის სიტყვა

(ბოლნისის რაიონი, ბოლნისის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! ბოლნისის რაიონის კოლმეურნეებმა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა 1947 წელს თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. რაიონმა შარშან ბევრად მეტი მოსავალი მიიღო, ვიდრე 1946 წელს. სიმინდის მოსავლიანობის გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით, ბამბისა—126, თამბაქოსი — 123, აბრეშუმის პარკის მიღებისა — 126 პროცენტით.

შარშან მნიშვნელოვანი მიღწევები მოიპოვა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ. 159 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე კოლმეურნეობამ მიიღო 56,6 ცენტნერი სიმინდი, 49 სტახანოვური ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე კი 70 ცენტნერი.

რაიონის კოლმეურნეობებმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს მიმდინარე წლის უხვ მოსავალს. საშემოდგომო თესვის სახელმწიფო გეგმა ვადაზე და აგროწესების დაცვით შესრულებულია 105 პროცენტით. გაცხოველებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. საგაზაფხულო ხვნის გეგმა 20 მარტისათვის შესრულებულია 87 პროცენტით. ნათესებსა და ვენახებში შეტანილია 14 ათასი ტონა ორგანული სასუქი, მიმდინარეობს ხვნა, ვენახების გასხვლა, სარწყავი სისტემის მომზადება და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ 1948 წელს, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გადამწყვეტ წელს, მიიღონ შარშანდელზე მეტი მოსავალი, ვადამდე გადაჭარბებით შეასრულონ ყველა სახელმწიფო ვალდებულებანი.

სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვასთან დაკავშირებით მინდა სესიის ყურადღება მივაქციო ჩვენი რაიონისათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებს:

კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა გაზრდილი კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია კულტურის სახლის აგება ბოლნისში. ამ სახლის მშენებლობა ჯერ კიდევ 1934 წელს დაიწყო. სამუშაოთა 30-35 პროცენტი უკვე შესრულებულია, მაგრამ ამჟამად მშენებლობა შეჩერებულია. ვშუამდგომლობ სესიის წინაშე გათვალისწინებულ იქნას 1948 წლის ბიუჯეტში ბოლნისის რაიონის კულტურის სახლის მშენებლობა, იმ ვარაუდით, რომ იგი 1949 წელს დამთავრდეს.

ბოლნისის საშუალო სკოლას შენობა არა აქვს. განათლების სამინისტროს მიერ სკოლის მშენებლობა შეტანილია გეგმაში, მაგრამ მისი წელს დამთავრება არ არის გათვალისწინებული. ვთხოვ სესიას გაითვალისწინოს სკოლის მშენებლობის დამთავრება 1948 წლისათვის.

ბოლნისის მოსახლეობას საკმაო რაოდენობით არა აქვს სასმელი წყალი. არსებული წყალსადენი მოსახლეობის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. დამატებითი წყალსადენის მოსაწყობად საჭიროა 150.000 მანეთი. ვთხოვ სესიას 1948 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ამ თანხის გაღება.

შარშან წყალთა მეურნეობის სამინისტროს დახმარებით და რაიონის კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით აგებულ იქნა „ზედაარხის" კაპიტალური სათავე მდინარე მაშავერაზე. ამის შედეგად 700 ჰექტარი მიწა სარწყავი გახდა. ეს სათავე საშუალებას იძლევა ავაგოთ ელექტროსადგური, რომელიც ელექტროენერგიით უზრუნველჰყოფს როგორც რაიონის ცენტრს, ისე რაიონის 25 კოლმეურნეობას. კოლმეურნეობებმა გადასწყვიტეს თავიანთ ხარჯზე ააგონ 880 ცხენისძალიანი ელსადგური, რომელზეც დაიხარჯება 2.800.000 მანეთი. მუშაობა უკვე დაწყებულია. ყოველდღიურად 2-3 ათასი კოლმეურნე მუშაობს პირველი რიგის სამუშაოებზე. დარწმუნებული ვარ უმაღლესი საბჭოს სესია ბოლნისელ კოლმეურნეთა ამ პატრიოტულ წამოწყებას მოიწონებს და დააკმაყოფილებს მათ თხოვნას, — დაავალებს საქართველოს სოფლის ელექტროფიკაციის სამმართველოს უზრუნველყოს ელსადგურის მშენებლობა დეფიციტური საშენი მასალითა და მოწყობილობით.

ამხანაგო დეპუტატებო! წინადადება შემომაქვს დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი შემოტანილ წინადადებათა გათვალისწინებით.

ბოლნისის რაიონის, ისევე როგორც მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, არ დაიშურებენ ძალღონეს იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს!

დიდება და გამარჯვება ჩვენს დიდ სტალინს! (ტაში).

დეპუტატ გ. დ. ანანიაშვილის სიტყვა

(საგარეჯოს რაიონი, სართიჭალის საარჩევნო ოლქი)

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს რესპუბლიკამ გასული წელი თვალსაჩინო წარმატებით დაამთავრა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევებში თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს კომუნალური მეურნეობის მუშაკებმა. კომუნალური საწარმოების მშენებლობაზე ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა თანხებიდან ათვისებულია 28.877,6 ათასი მანეთი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 26.050 ათასი მანეთისა. კაპიტალური დაბანდებანი საბინაო და სასტუმროების მშენებლობაზე ათვისებულია 7.194,2 ათასი მანეთის, ხოლო ადმინისტრაციული სახლების მშენებლობაზე 3.470,6 ათასი მანეთის რაოდენობით. აბანოების მშენებლობასა და რეკონსტრუქციაზე მთლიანად დაბანდებულია 615,4 ათასი მანეთი. მათ შორის თბილისში — 203,5 ათასი მანეთი. გარდა ამისა, შენდება ახალი აბანოები გარდაბანსა და კაჭრეთში.

1947 წელს საგრძნობი სამუშაოები ჩატარდა ელექტრო-მეურნეობის დარგში: თბილისში ხრამჰესის ელექტროენერგიის მიღებასთან დაკავშირებით რეკონსტრუირებულია ელექტროდანადგარები. აშენდა და ამუშავდა ლაგოდეხის ჰიდროელსადგური 120 ცხენის ძალისა, ღორეშას ჰიდროელსადგური 140 ცხენის ძალისა. ყვარელსა და მანგლისში მოეწყო დიზელდანადგარები.

8.683,7 ათასი მანეთი დაიხარჯა ქალაქებისა და რაიონული ცენტრების გზებისა და სანაპიროების მშენებლობაზე. აქედან თბილისში — 4.817,0 ათასი მანეთი, ქალაქ გაგრის კეთილმოწყობაზე — 3.585 ათასი მანეთი, ხოლო გორის სანაპიროს მშენებლობაზე — 105,0 ათასი მანეთი.

1947 წელს დაიწყო იმ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებმაც მთელი რიგი ქალაქების და რაიონული ცენტრების მშრომელებს და, კერძოდ, კოლმეურნეობებს თავიდან უნდა აიცილონ მთებიდან ჩამონადენ ნალექთა დიდი მასების, ხრეშის მიგრაციის, მდინარეებისა და ზღვის გაუმაგრებელი ნაპირებიდან მოსალოდნელი ზარალი. უკვე გაშლილია სამშენებლო სამუშაოები მდინარე ქოლკვარასა და გაგრიფშის რეგულირებისათვის. ანალოგიური სამუშაოები ჩატარდება თელავსა და სხვა რაიონულ ცენტრებში.

საექსპლოატაციოდ არის გადაცემული 3.426 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო ადმინისტრაციული სახლების მშენებლობის ხაზით დასრულებულია 28.700 კუბმეტრი მოცულობის მშენებლობა.

კომუნალური მეურნეობის მუშაკები ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ მშენებლობის გაიაფებას, შრომის რაციონალური მეთოდების დანერგვას და სამშენებლო ვადების შემცირებას. სამოქალაქო მშენებლობაზე ცემენტის ხსნარი შეცვლილ იქნა კირის ხსნარით. დეფიციტური საშენი მასალები შეიცვალა უფრო იაფი ადგილობრივი მასალებით. სამოქალაქო ნაგებობათა მშენებლობის გაიაფებას ხელი შეუწყო აგრეთვე პროექტების საკითხის კომპაქტურმა გადაწყვეტამ და შენობის ცალკეული ელემენტების სტანდარტიზაციამ, კარ-ფანჯრებისა და ხის სხვა დეტალების კომუნალური მეურნეობის ხის დამამუშავებელ ქარხანაში დამზადების ცენტრალიზაციამ.

როგორ მუშაობდნენ გასულ წელს კომუნალური საწარმოები? მომხმარებელთათვის წყლის მიწოდების გეგმა შესრულებულია 102,1 პროცენტით, ელექტროენერგიის მიწოდების გეგმა — 110 პროცენტით. საბინაო და საიჯარო გადასახადის საშემოსავლო გეგმა შესრულებულია 42.110,0 ათასი მანეთის ოდენობით, რაც გეგმის 104,7 პროცენტს შეადგენს. ამგვარად, ბიუჯეტით გათვალისწინებული დაგროვების გეგმა, კომუნალური საწარმოების საექსპლოატაციო საქმიანობიდან 36.284,4 ათას მანეთის რაოდენობით, შესრულებულია 121 პროცენტით.

ჩვენს მუშაობაში ნაკლოვანებებიც ბევრია, რაზეც წინა სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში სამართლიანად მიგვითითა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ჩხუბიანიშვილმა. მაგალითად, კაპიტალური მშენებლობის ხაზით მთლიანად ვერ იქნა გადაცემული საექსპლოატაციოდ ის სიმძლავრეები, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული. დამთავრებული არ არის ქარელისა და ჩხოროწყუს ადმინისტრაციული სახლები, კასპისა და წალკის საცხოვრებელი სახლები, სიღნაღის სასტუმრო და სხვ., რომელთაც დაფინანსების მიხედვით მთლიანად ამოსწურეს სახარჯთაღრიცხვო თანხები.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არასაკმაოდ ვიყენებთ მშენებლობაზე მოწინავე ტექნიკის მიღწევებს. სამშენებლო სამუშაოები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის ინდუსტრირებული, მეტწილ სამუშაოებზე კვლავ სჭარბობს ხელით მუშაობა იმ უბნებზეც კი, სადაც სრული შესაძლებლობაა გამოყენებულ იქნას სამშენებლო მექანიზმები. რაიონული ცენტრების სამოქალაქო მშენებლობაზე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული სამუშაოების ორგანიზაცია.

უნდა აღინიშნოს საწარმოებისა და საბინაო ფონდის რემონტის საქმის ცუდად დაყენება და საბინაო ფონდის არასაკმაო მოვლა-პატრონობა. საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის გეგმა რესპუბლიკაში მთლიანად შესრულებულია 82 პროცენტით. საცხოვრებელი სახლების კაპიტალურ შეკეთებაზე დახარჯულია 17.931,0 ათასი მანეთი, ნაცვლად 21.848,6 ათასი მანეთისა. გარდა თბილისისა, რომელმაც საბინაო ფონდის კაპიტალური რემონტის გეგმა 105,5 პროცენტით შეასრულა, არც ერთ მსხვილ ქალაქს ამ დარგში გეგმა მთლიანად არ შეუსრულებია.

ამხანაგო დეპუტატებო! 1948 წლის საფინანსო გეგმით გათვალისწინებულია წყლის მიწოდების ზრდა 2,4 პროცენტით, ელექტროენერგიისა — 13,4 პროცენტით, მიმდინარე წელს თბილისის ტრამვაი მომსახურებას გაუწევს 20 მილიონი მგზავრით მეტს გასულ წელთან შედარებით. ამავე ფინანსური გეგმით გათვალისწინებულია კომუნალურ საწარმოთა პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება.

1948 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდებანი კომუნალური მეურნეობის ხაზით 16.200 ათასი მანეთი, აქედან ბინებისა და სასტუმროების მშენებლობაზე — 5.500 ათასი მანეთი, ადმინისტრაციული სახლების მშენებლობაზე — 800 ათასი მანეთი. ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ქუჩებისა, მოედნებისა და სხვა საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობასა და მოვლა-შეკეთებაზე 1948 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია დეცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი 18.260 ათასი მანეთი, კეთილმოწყობის ობიექტების კაპიტალურ რემონტზე —12.400 ათასი მანეთი და საოპერაციო ხარჯები — 28.583 ათასი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენთვის დასამტკიცებლად წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია კომუნალურ საწარმოთა მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც უზრუნველჰყოფს საქართველოს მშრომელთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებათა უფრო უკეთესად დაკმაყოფილებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დახმარებით ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ბიუჯეტით გათვალისწინებულ სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის, პარტიისა და მთავრობის, დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის. (ტაში).

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ რ. ა. კვირკველიას საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სესიაზე კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ყოველმხრივ განიხილეს მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1948 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ყველა დეპუტატმა მოიწონა ბიუჯეტის პროექტი და სცნო, რომ იგი სავსებით უპასუხებს 1948 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წინაშე მდგომ ამოცანებს.

იმ შენიშვნებთან დაკავშირებით, რაც დეპუტატებმა გააკეთეს, საჭიროდ მიმაჩნია დამატებით განვმარტო, რომ ჩემს მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები საგემოვნო მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის და სხვა სამინისტროთა ცალკე საწარმოების მუშაობის შესახებ, რასაკვირველია, არ არის დამახასიათებელი ამ სამინისტროთა მუშაობისათვის მთლიანად. ხსენებული ფაქტები მოყვანილი იყო მხოლოდ ზოგიერთ ჩამორჩენილ საწარმოთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობის საილუსტრაციოდ. გასული სამეურნეო წელი განსაკუთრებით კარგად დაასრულა საგემოვნო მრეწველობის სამინისტრომ, რომელმაც საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 120 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო პროდუქციის გეგმა კი — 112 პროცენტით, ხოლო მოგების ანარიცხები, ნაცვლად 37.960 ათასი მანეთისა, ბიუჯეტს მისცა 56.749 ათასი მანეთი, ანუ გეგმის 150 პროცენტი. ასევე, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულა 117 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა კი 102 პროცენტით, ვალდებულება ბიუჯეტის წინაშე შეასრულა გადამეტებით და ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.339 ათასი მანეთისა, ბიუჯეტს მისცა 8.621 ათასი მანეთი ანუ გეგმის 125 პროცენტი. რა თქმა უნდა, ამ სამინისტროებს სრული შესაძლებლობა აქვთ გამოასწორონ ზოგიერთ ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობა.

მისასალმებელია მსუბუქი მრეწველობის მინისტრის დეპუტატ რობაქიძის და კვების მრეწველობის მინისტრის დეპუტატ ალავიძის განცხადება, რომ ეს სამინისტროები იმდენად გააუმჯობესებენ საწარმოთა მუშაობას და გააიაფებენ პროდუქციის თვითღირებულებას, რომ შესაძლებელი იქნეს ამ სამინისტროთა საწარმოებისათვის ბიუჯეტით დაგეგმილი სახელმწიფო დოტაციის მაქსიმალური შემცირება. არავითარი საფუძველი არ არის ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მსუბუქი მრეწველობისა და კვების მრეწველობის სამინისტროების მიერ სესიისათვის მიცემული ეს დაპირება შესრულებული იქნება.

უნდა მოვუწოდოთ სხვა სამინისტროებს მიბაძონ მსუბუქი მრეწველობისა და კვების მრეწველობის სამინისტროებს, მიაღწიონ პროდუქციის გაიაფებას ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის და სხვა ხარჯების შემცირებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით და სხვა ღონისძიებათა გატარებით, გადააჭარბონ დაგროვების გეგმებს და შეამცირონ ბიუჯეტიდან დაფინანსება, რათა ამ გზით განთავისუფლებული ბიუჯეტის სახსრები გამოყენებულ იქნას სხვა გადაუდებელი საჭიროებისათვის.

უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიამ სესიაზე შემოიტანა წინადადება ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული ზოგიერთი ხარჯების შემცირებისა და შემოსავლის გადიდების შესახებ, სახელდობრ:

ა) იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობამ მუშაობა გააუმჯობესა და თვითღირებულების შემდგომი შემცირებისა და რენტაბელობის გაზრდის შესაძლებლობა აქვს, შეუმცირდეს ამ სამინისტროს 1948 წლისათვის დაგეგმილი დოტაცია 4.500 ათასი მანეთით;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ხაზით უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სახელმძღვანელოების გამოცემის გეგმების შემცირებასთან დაკავშირებით შეუმცირდეს ამ სამმართველოს 1948 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული დოტაცია 700 ათასი მანეთით;

გ) დაზუსტების შედეგად, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს საპროექტო ტრესტის სამუშაოთა გეგმის მოცულობის შემცირების გამო შეუმცირდეს ამ სამინისტროს საბრუნავი სახსრები 310 ათასი მანეთით და ამავე თანხით გაუდიდდეს ბიუჯეტში შესატანები;

დ) საქართველოს სსრ ადგილობრივ მრეწველობის სამინისტროს საწარმოების რენტაბელობა დატოვებულ იქნას 1947 წლის დონეზე, რაც ბიუჯეტის პროექტის გაანგარიშებას აღემატება, და ამასთან დაკავშირებით გადიდებულ იქნას ამ სამინისტროს მოგების ანარიცხების გეგმა 882 ათასი მანეთით.

საბიუჯეტო კომისიამ წინადადება შემოიტანა ზემოხსენებული თანხები — 6.392 ათასი მანეთი—მიმართულ იქნას ბიუჯეტის შემოსავლის გადაჭარბებაში გასავალზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საბიუჯეტო კომისიის წინადადებანი, შესაძლებლად მიაჩნია მიღებულ იქნას ისინი და 1948 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტში შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებანი.

საქართველოს სსრ 1948 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს ზოგიერთმა დეპუტატმა წამოაყენა მოთხოვნილებები ხარჯების გადიდების შესახებ ძირითადად ცენტრალიზებულ და არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით, აგრეთვე, ქალაქების და სარაიონო ცენტრების კეთილმოწყობასა და ზოგიერთ სხვა საჭიროებისათვის. ამასთან დასახელებული ხარჯების მეტი ნაწილის გაღებას დეპუტატები მოითხოვდნენ ბიუჯეტის შესრულების წესით. მინისტრთა საბჭომ ყურადღებით განიხილა დეპუტატების მოთხოვნები ბიუჯეტით დამატებითი ხარჯების გაღების შესახებ და დამავალა მოვახსენო სესიას, რომ მას შესაძლებლად არ მიაჩნია მხარი დაუჭიროს ზოგიერთი დეპუტატის წინადადებებს ბიუჯეტით ხარჯების გადიდების შესახებ შემდეგ მოსაზრებათა გამო: როგორც დეპუტატებს მოეხსენებათ, 1948 წლის ბიუჯეტის პროექტის საგასავლო ნაწილი 176.487 ათასი მანეთით აღემატება 1947 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს. ამ გადიდებული ხარჯების დასაფარავად საჭირო შეიქნა ბიუჯეტის პროექტის საშემოსავლო ნაწილი შარშანდელთან შედარებით გადიდებულიყო 178.365 ათასი მანეთით. ფულის რეფორმის შედეგად საბჭოთა მანეთის კურსის სიმტკიცის და სრულფასიანობის პირობებში ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის ასეთი დიდი თანხით გადიდება, რასაკვირველია, იწვევს ბიუჯეტის ძალზე დაძაბულობას. ბიუჯეტის დაძაბულობის კიდევ უფრო გაძლიერება ხარჯების გადიდებით მინისტრთა საბჭოს აზრით მიზანშეწონილი არ არის. მით უმეტეს არ არის მიზანშეწონილი ხარჯების გადიდება კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით, რადგანაც სახალხო მეურნეობის ინტერესები მოითხოვს, რომ კაპიტალური დაბანდების თანხები პირველ რიგში მოხმარდეს მშენებლობის დაწყებული ისეთი ობიექტების დამთავრებას, რომელნიც მიმდინარე წელსვე მოგვცემენ ეფექტს.

ბიუჯეტის პროექტი შედგენილია ცენტრალიზებულ და არაცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა სახსრების სწორედ ამგვარი გამოყენების თვალსაზრისით. ამ სახსრების კიდევ ახალ ობიექტებზე გადანაწილება კი გამოიწვევს მათ დაქსაქსვას მრავალ ახალ დაუმთავრებელ ობიექტზე, რაც მიზანშეწონილი არ არის.

დეპუტატთა წინადადებანი ბიუჯეტით დამატებითი ხარჯების გაღების შესახებ უნდა გადაეცეს განსახილველად მინისტრთა საბჭოს ბიუჯეტის შესრულების პროცესში მათი შესაძლებლობის მიხედვით დაკმაყოფილების საკითხის განსახილველად.

გარდა ამისა, როგორც მოგეხსენებათ, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების აღმასკომებს საშუალება აქვთ იმ დამატებით ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელება მათ საჭიროდ მიაჩნიათ, გასწიონ დამატებითი ხარჯები ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბების ანგარიშში. ჩემს მოხსენებაში საქართველოს სსრ 1948 წლის ბიუჯეტის შესახებ მოყვანილი იყო ამის მაგალითები. ცხადია, ამ გზით უფრო მეტ დამატებით სახსრებს მიიღებენ იმ ქალაქებისა და რაიონების აღმასკომები, რომელნიც უკეთესად იმუშავებენ ბიუჯეტის შესრულებაზე და მეტად გადააჭარბებენ მის საშემოსავლო ნაწილს.

საჭიროა ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საოლქო, საქალაქო და სარაიონო საბჭოების აღმასკომებმა გადაჭრით გააუმჯობესონ საბიუჯეტო მუშაობა, ყოველდღიურად უხელმძღვანელონ ბიუჯეტის შესრულებას და მიაღწიონ შემოსავლის მაქსიმალურად შესაძლებელ გადაჭარბებას, რათა ამ გზით მიღებული დამატებითი შემოსავალი გამოყენებულ იქნას ჩვენი ქალაქებისა და რაიონების კეთილმოწყობის გაუმჯობესებისა და გამშვენიერებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურულ დაწესებულებათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მოსახლეობის გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ჭიჭინაძემ ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა გააკეთა საფინანსო ორგანოების მუშაობის შესახებ. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევისა და უკანონო ხარჯების გამოვლინება ხდება დაგვიანებით და რომ ამ მოვლენათა აღსაკვეთად საკმაო გამაფრთხილებელი ზომები არ ტარდება. დეპუტატ ჭიჭინაძის ეს შენიშვნა სავსებით სწორია. ფინანსთა სამინისტრო მიიღებს ზომებს სარევიზიო-საკონტროლო მუშაობის გასაძლიერებლად და მუშაობაში აღნიშნული ნაკლის გამოსასწორებლად.

ამხანაგო დეპუტატებო! ის ერთსულოვნება, რომელიც სესიაზე სიტყვით გამოსულმა დეპუტატებმა გამოიჩინეს მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1948 წლის ბიუჯეტის პროექტის შეფასებასა და მისი შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებების ირგვლივ, იძლევა იმის ერთ-ერთ გარანტიას, რომ ეს ბიუჯეტი წარმატებით იქნება შესრულებული.

ქართველი ხალხი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნაცადი ხელმძღვანელობით კიდევ უკეთესი მაჩვენებლებით, ვიდრე გასულ წელს, შეასრულებს სახალხო-სამეურნეო გეგმებს, მოიპოვებს ახალ მიღწევებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში და დიდ საბჭოთა ხალხთან ერთად ძლევამოსილად გასწევს წინ კომუნიზმის დროშით, დიდი სტალინის წინამძღოლობით. (მქუხარე ტაში).

პარტიული ცხოვრება

მოწინავე კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია

წარსულში ჭაობიანი და ციებ-ცხელებით ცნობილი სოფელი პირველი ბარღები (გალის რაიონი) დღეს სახალხო შრომის გაჩაღების შედეგად საქვეყნოდ განთქმული გახდა. ამ სოფლის მარტო სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 21 სოციალისტური შრომის გმირია, 40 ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი და ათობით მედალოსანი.

შრომაში სახელმოხვეჭილ ადამიანთა უმეტესი ნაწილი კომუნისტებია. საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაცია სათავეში უდგას კოლმეურნეთა მასას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიული დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში. პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიური მუშაობით ხელს უწყობს არტელის მეურნეობრივად და ორგანიზაციულად განმტკიცებას და საკოლმეურნეო დოვლათის გადიდებას. პარტიული ორგანიზაცია პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობას ერთმანეთთან უნარიანად ახამებს, ნამდვილად ახორციელებს კოლმეურნეობის გამგეობისადმი კონტროლის უფლებას, დროულად ეხმაურება სიგნალებს და სათანადო ღონისძიებებს იღებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

სახელმწიფო აქტით კოლმეურნეობაზე გადაცემული მიწის ერთი ნაწილი ტყით, ეკალბარდით დაფარული და ჭაობიანი იყო. მართალია, უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა ჩატარდა ამ მიწის ათვისებისათვის, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ამინდის ყოველგვარ პირობებში სიმინდის მაღალი მოსავლის მიღება ბარღებში უზრუნველყოფილი იქნებოდა, თუ აითვისებდნენ ყამირ მიწებს. თებერვლის პლენუმის დადგენილების გაცნობის შემდეგ ეს საკითხი პარტორგანიზაციის წინაშე დააყენეს კომუნისტებმა ძ. რიგვავამ, ა. შამუგიამ და აგრონომმა ეხვაიამ. საკითხის გულმოდგინედ შესწავლისათვის პარტბიუროს მდივანმა შეკრიბა კომუნისტი ბრიგადირები, მერგოლეურები და უხვი მოსავლის ოსტატები. მათ შეიმუშავეს წინადადებანი და ღონისძიებანი. შემდეგ მდივანი მოეთათბირა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. გადაწყდა, საკითხი განეხილათ ღია პარტიულ კრებაზე. მოწვეულ იქნენ უხვი მოსავლის ოსტატები, უპარტიო ბრიგადირები და მერგოლეურები. ახალი, ყამირი მასივის დამუშავების საკითხი ფართო მსჯელობის საგანი გახდა. ზოგიერთი იმ აზრისა იყო, რომ რაკი გაზაფხული მოახლოებულია, ახალი მიწების დამუშავებას ვერ მოვასწრებთ და შემდეგი წლისთვის გადავდოთ. მაგრამ კრებამ უარჰყო ასეთი აზრი და მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება 36 ჰექტარი ყამირი მიწის ათვისების შესახებ. ამის საფუძველზე კოლმეურნეობის გამგეობამ კალენდარული გეგმა შეადგინა და მუშაობა გააჩაღა. კოლმეურნეებმა ოც სამუშაო დღეში გაწმინდეს და დაამრეს 36 ჰექტარი მიწა, ყველგან გაიყვანეს სადრენაჟო და წყალშემკრები თხრილები. ეს იყო შარშან მარტში.

პარტორგანიზაცია მას შემდეგაც შეუნელებელი ყურადღებით ეპყრობოდა ახლად ათვისებული მიწის დამუშავებასა და მოვლას, ხშირად ისმენდა კოლმეურნეობის თავმჯდომარისა და ფართობებზე მიმაგრებული კომუნისტების ძ. რიგვავას, შ. ხოჭოლავას და ა. გოგუას ინფორმაციებს. შედეგად ახალი ფართობების თვითეულ ჰექტარზე შარშან მიღებულ იქნა 75,6 ცენტნერი სიმინდი.

პარტბიურო ამოწმებს კოლმეურნეობაში სამუშაოთა მიმდინარეობას და სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს. მაგალითად, შარშან პარტბიურომ შეამოწმა კოლმეურნეობის მზადყოფნა საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის. გამოირკვა, რომ პირველი ხვნის კალენდარული ვადები ირღვეოდა სამ ბრიგადაში. მუშა საქონელი დასუსტებული იყო, ნელი ტემპით მიმდინარეობდა იარაღ-მანქანების შეკეთება. პარტიულმა კრებამ მოისმინა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ვლ. გოგოხიას მოხსენება ხვნა-თესვისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. კომუნისტებმა სამართლიანად გააკრიტიკეს გამგეობა და წამოაყენეს წინადადებანი ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ. კრებამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. კომუნისტები სათავეში ჩაუდგნენ კრების მიერ მიღებული დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლას. თვითეულ რგოლს მიემაგრა ორ-ორი უღელი მუშა საქონელი. გუთნისდედებად გამოყოფილ იქნენ კომუნისტები და კომკავშირელები. საქმე წინ წავიდა. კოლმეურნეობამ აგროტექნიკურ ვადებში მაღალხარისხოვნად შეასრულა ხვნა-თესვის გეგმა და მიიღო აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ამრიგად, პარტიულ კრებებზე სამეურნეო საკითხების განხილვა მტკიცედ დამკვიდრდა პარტორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკაში. შარშან პარტიულ კრებებზე სამეურნეო ხასიათის 23 საკითხი განიხილეს. გარდა ამისა, ბიუროს სხდომებსა და საერთო კრებებზე განიხილეს კომუნისტების თეორიული სწავლების, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიისა და პარტიის პროგრამისა და წესდების შემსწავლელი წრეების მუშაობის საკითხები.

ყოველდღიური მუშაობით პარტორგანიზაცია უზრუნველჰყოფს მიღებულ დადგენილებათა განხორციელებას. ამის შედეგად კოლმეურნეობაში ამაღლდა პარტორგანიზაციის როლი და ავტორიტეტი. კომუნისტები მუშაობენ გადამწყვეტ უბნებზე — საწარმოო ბრიგადებში, ფერმებსა და სანერგეებში. 38 კომუნისტი ფიზიკურად მუშაობს, 9 ბრიგადირია, ხოლო 8 მერგოლეური. ოთხ ბრიგადაში შექმნილია პარტიული ჯგუფები. ისინი სათანადო მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან კოლმეურნეებს შორის. კომუნისტები ყველგან ავანგარდულ როლს ასრულებენ. ამიტომ უყოყმანოდ მიჰყვებიან მათ კოლმეურნეები და თავდადებული მუშაობით მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწევენ.

გასულ შემოდგომაზე კოლმეურნეობამ 64 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე აიღო 93,5 ცენტნერი სიმინდი, დანარჩენი 186 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 56 ცენტნერი, ხოლო 20 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში მოკრიფა 85 ტონა ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ტონისა. სიმინდის განსაკუთრებით უხვი მოსავალი მოიყვანეს კომუნისტმა ბრიგადირებმა ა. გოგოხიამ, რ. ხარჩილავამ, ა. შენგელიამ, ძ. რიგვავამ, ვ. შონიამ, მერგოლეურებმა ს. თოდუამ, ვ. მიქავამ, გ. ჭავამ, ი. აქუბარდიამ და სხვებმა და სამართლიანადაც დაიმსახურეს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

მაღალი ჯილდოს პასუხად კოლმეურნეებმა იკისრეს წელს 60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიწიონ სულ მცირე 100 ცენტნერი სიმინდი, 290 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 40 ცენტნერი და 20 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფონ 5 ათასი კილოგრამი ფოთოლი. გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება მაღალი მოსავლისათვის. წარმატებით სრულდება საგაზაფხულო სამუშაოები. 15 მარტისათვის დამთავრდა 350 ჰექტარი მიწის პირველი ხვნა, ხოლო იმ ბრიგადებში, რომლებსაც სოციალისტური შრომის გმირები ხელმძღვანელობენ, მეორედ ხვნაც. წელს დამატებით ათვისებულია 18 ჰექტარი ყამირი.

ამჟამად კოლმეურნეობაში პარტორგანიზაციის ინიციატივით ეწყობა საუბრები სოციალისტური შრომის გმირთა მუშაობის გამოცდილების და საბჭოთა აგროტექნიკის ახალი მიღწევების შესახებ. თავისი მუშაობის შესახებ სოციალისტური შრომის გმირმა ძ. რიგვავამ საუბარი ჩაატარა ორ ბრიგადაში და აგიტატორების საერთო თათბირზე. აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა მ. შამუგიამ, ძ. ცობეხიამ, ი. რიგვავამ, ო. ბუთბაიამ, ც. ცობეხიამ, რ. კახიანმა და ა. მორგოშიამ სამ-ოთხი საუბარი ჩაატარეს თვითეულმა სოციალისტური შრომის გმირების ჩ. ქვაჩახიას, ძ. რიგვავას, ც. აბუხბაიას, თ. თარბას და სხვათა მუშაობის შესახებ.

რა არის მთავარი და დამახასიათებელი პირველი ბარღების საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მუშაობაში? ის, რომ პარტორგანიზაცია ღრმად სწვდება საკოლმეურნეო ცხოვრების ყველა დეტალს, კოლმეურნეობის გამგეობის ფუნქციებში კი არ ერევა, არამედ მასთან ერთად განუხრელად ატარებს არტელის სტალინურ წესდებას. მიუდგომლად ამხელს ნაკლოვანებებს და სწორად ახორციელებს გამგეობის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას, კომუნისტებს გადამწყვეტ სამუშაოზე აყენებს. ამის შედეგად კოლმეურნენი პირველადი პარტორგანიზაციის სახით ხედავენ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის ნამდვილ გამტარებელს და რჩევისა და დახმარებისათვის მიმართავენ მას. ამაშია პარტორგანიზაციის ძალისა და ავტორიტეტის წყარო.

ს. შონია
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 16 იანვრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი ქარელის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და მტს-ებში საგაზაფხულო თესვისათვის არადამაკმაყოფილებელი მზადების შესახებ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქარელის რაიკომის მდივანი ამხ. ი. როველიაშვილი გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. რაიკომის ბიურომ განიხილა საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხები და დასახა სათანადო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

საგაზაფხულო ხვნა-თესვა

სასწრაფოდ გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი

ამ გაზაფხულზე ხაშურის რაიონში გეგმით უნდა დაითესოს 6.200 ჰექტარი სიმინდი, 1.350 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, ასეულობით ჰექტარი სხვა კულტურები.

ნათესის ფართობის გადიდებასთან ერთად საჭიროა გადიდდეს მოსავლიანობა. ამ დავალების შესრულება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მომზადებული შეხვდებიან კოლმეურნეობები თესვას. ბევრგან ეს კარგად გაითვალისწინეს. დროულად დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი, მინდვრად გატანილია 15.000 ტონამდე ადგილობრივი სასუქი. შეგროვილია 600 ცენტნერზე მეტი ნაცარი. გეგმით გათვალისწინებულია დაითესოს 300 ჰექტარი ქერი, ხოლო უკვე დათესილია 210 ჰექტარი.

წელს ცუდად როდი იმუშავეს ხაშურელებმა მასობრივი კვალიფიკაციის საკოლმეურნეო კადრების მოსამზადებლად. გეგმით უნდა მომზადდეს მემინდვრე, მეჭარხლე, მეკარტოფილე ბრიგადირები, მერგოლეურები, ხეხილისა და ვაზის მსხვლელები, მყნობელები, მებოსტნეები, მთესველები, გუთნისდედები — სულ 1.300 კაცი. მეცადინეობა დაიწყეს იანვარში 15 სასოფლო საბჭოში. დღემდე გამოშვებულია 471 კაცი.

კარგად მოემზადა თესვისათვის ზემო ოსიაურის სტალინის სახელობის მეთესლეობის კოლმეურნეობა. აქ ბრიგადები და რგოლები სწორად არის დაკომპლექტებული. რგოლებს ნაკვეთები მიჩენილი აქვთ აქტებით. მუშა პირუტყვი თებერვლიდან გაძლიერებულ კვებაზე ჰყავთ გადაყვანილი. ყველა სახის თესლი კონდიციურია და სუფთად, მშრალად ინახება ცალ-ცალკე საწყობში. შრომადღეების აღრიცხვა და დარიცხვა დროულად და წესიერად აწარმოებს. თესვისათვის კარგად მოემზადნენ აგრეთვე ქვემო ოსიაურის კოლმეურნეობა „მეორე ხუთწლედში" და რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობა, გამგეობებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების უდარდელობის გამო, მოუმზადებელი ხვდება თესვას. სოფელ გომის 21 იანვრის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ხეთაგური) დღემდე არ დაუკომპლექტებიათ ბრიგადები და რგოლები, მათ სათანადო აქტებით არა აქვთ მიჩენილი ნაკვეთები, შრომადღეების აღრიცხვა და დარიცხვაც მოუგვარებელია. გამომუშავების ნორმები დღემდე არ დაუმტკიცებიათ კოლმეურნეთა საერთო კრებაზე. როგორც გამოირკვა, ნორმები ქაღალდზე ჩამოწერეს და იგი დღესაც ჯიბით დააქვს უბნის აგრონომს ბ. მიქელაძეს. წელს აქ სამჯერ ჰქონდათ საერთო კრება, მაშასადამე, შეეძლოთ ეს ნორმები განეხილათ და დაემტკიცებინათ საერთო კრებაზე. კოლმეურნეობაში მუშა პირუტყვის ნაწილი დასუსტებულია. მინდვრად ნაკელის გასატანად მარტში საუკეთესო პირობები იყო, მაგრამ ეს ვერ გამოიყენეს და გეგმით გათვალისწინებული 415 ტონის ნაცვლად გატანილია მხოლოდ 20 ტონა. ყურადღება არ ექცევა თესლის წესიერად შენახვას. ნაკლებად ზრუნავენ შემოდგომის ნათესების დაცვისათვის. ხშირია შემთხვევა, როცა პირუტყვი თავისუფლად დადის ნათესში. ამ კოლმეურნეობაში შარშანაც ცუდად იმუშავეს და დაბალი მოსავალი მიიღეს. თუ ასე გაგრძელდა, წელსაც საეჭვოა, რომ აქ უხვი მოსავალი მოიყვანონ.

სოფელ აგარების კოლმეურნეობა „წითელ ვარსკვლავს" მოუმზადებელს მოუსწრო გაზაფხულმა. პირუტყვის კონცენტრირებული, წვნიანი საკვები კარგა ხანია გაუთავდათ. ამან გამოიწვია პირუტყვის დასუსტება. თესლი შენახული აქვთ ხორცთან, მარილთან ერთად.

არიან სხვა კოლმეურნეობებიც, სადაც თესლეულის შენახვის შეუფასებლობას იჩენენ. პატარა სატივეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ლობიოს თესლი გასარჩევ მარცვლეულთან ერთად ჰყრია. სოფელ ცხრამუხის კოლმეურნეობა „განთიადში" კარტოფილის თესლი დღესაც გაურჩეველია. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ არის კოლმეურნეობა „ბოლშევიკში".

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს რაიონში შაქრის ჭარხლის თესლის შემოზიდვის საქმე. ამ მხრივ აგარის შაქრის ქარხანა მოქნილად ვერ მუშაობს. მაგალითად, ხაშურის პუნქტს უნდა მიეღო 18 ტონა თესლი, 22 მარტამდე მიიღო 14 ტონა. კოლმეურნეობები კი მიღებული თესლის გატანასაც არ ჩქარობენ. შაქრის ჭარხლის თესლი დღემდე არ წაუღიათ სოფელ კლდის წყაროს კოლმეურნეობა „პირველ ნაბიჯს", პატარა ახალსოფლის „ძმათა ოჯახს", დიდი ღუდის „კომუნიზმისაკენს", სოფელ ტკოცის „წითელ ლაშქარს", სოფელ ბეკამის კაგანოვიჩის, ღვრია წყლის მოლოტოვის, სოფელ ბრილის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებს.

მოახლოვდა თესვის მასობრივად დაწყების ვადა. საკოლმეურნეო სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, ხვნა-თესვის სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის.

ნ. ჯანჯღავა
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

წარმატებით ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები

საგაზაფხულო თესვისათვის მზადება ჩხარის რაიონში დიდიხანია დაიწყო. გეგმის გადამეტებით მზრალად მოხნულია 500 ჰექტარი, ათვისებულია 174 ჰექტარი ყამირი. 2.400 ცენტნერი სათესლე სიმინდი კონდიციურია. მინდვრად გატანილია 6.000 ტონა ადგილობრივი სასუქი. თესვას მომზადებული ხვდება სოფელ თერჯოლის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ლ. ბლიაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ა. ძოწენიძე). აქ გუთნებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტის გეგმა მთლიანად შეასრულეს, დახარისხებული აქვთ საკმაო თესლი, მუშა-პირუტყვი გადაყვანილია გაძლიერებულ კვებაზე. სამაგალითოდ უვლის მუშა-პირუტყვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სახელმოხვეჭილი კოლმეურნე სტახანოველი თამარ ბრეგვაძე. კარგად ემზადებიან გაზაფხულისათვის აგრეთვე სოფელ სიქთარვის დიმიტროვის, სოფელ ძევრის კომინტერნის, სოფელ ქვედა ალისუბნის ენგელსისა და 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობები. აქ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები შეკეთებულია, მომარაგებულია კონდიციური თესლი, პირუტყვი კარგად არის მოვლილი. ყამირი მიწების ათვისების საქმეში დაწინაურდა სოფელ თერჯოლის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ს. გოგიაშვილი).

მაგრამ თესვისათვის მზადებას არ ჩქარობს სოფელ ახალი თერჯოლის პარიზის კომუნის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ი. ცხადაძე). აქ თესვისათვის საჭირო ინვენტარი არ შეუკეთებიათ. მინდვრად უნდა გაეტანათ 150 ტონა სასუქი, დღემდე ერთი ტონაც არ გაუტანიათ. სოფელ გოგნის ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობაში 120 სული პირუტყვი ჰყავთ. კოლმეურნეები ს. ისაკაძე, ი. რობაქიძე მუშა-პირუტყვს ცუდად უვლიან, ხარები დასუსტებული არიან. სოფელ სიმონეთის მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. არაბიძე) მუშა-პირუტყვს ნორმით დაწესებულ საკვებს არ აძლევენ.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ადგილობრივმა ორგანოებმა სათანადო ზომები უნდა მიიღონ.

კოლმეურნეობებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მოწინავე მევენახეთა რესპუბლიკური თათბირის მონაწილეების მიმართვის განხილვამ. შარშან სოფელ თერჯოლის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა მევენახე ლავრენტი რობაქიძემ 1 ჰექტარზე 64 ცენტნერი ყურძენი მიიღო. მევენახეთა მიმართვის გაცნობისას მან ვალდებულება იკისრა წელს მიიღოს 80 ცენტნერი ყურძენი ერთ ჰექტარზე. ასეთივე ვალდებულება იკისრა სახელმოხვეჭილმა სტახანოველმა მევენახემ სევერიან მაკარიძემ.

მევენახეობის თერჯოლის საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა კოლექტივი (დირექტორი ამხ. ა. თავაძე) ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში ყურძნის მოსავლიანობის გასადიდებლად.

ა. გოცირიძე
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკურ საბჭოში

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტექნიკურმა საბჭომ მოისმინა პროფესორების ი. ფ. ვასილენკოსა და პ. ა. ნეკრასოვის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ი. მ. ქუკისა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა კანდიდატის ბ. ე. მურავინის მოხსენებები მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისა და ნიადაგის მზრალად დამუშავების კომპლექსური მექანიზაციის შესახებ.

სსრ კავშირის სამეცნიერო დაწესებულებებმა შეიმუშავეს მოსავლის კომბაინით აღების მეთოდი, რომლის დროსაც აღებული იქნება არა მარტო მარცვალი, არამედ ნამჯა და ბურდოც. მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებისა და ნიადაგის მზრალად დამუშავების კომპლექსური მექანიზაციისათვის შექმნილია მანქანების კომპლექტი. როგორც გამოცდილებამ ცხადჰყო, ეს მეთოდი მკვეთრად ამცირებს მოსავლის აღებაში მარცვლეულის დანაკარგს და ზრდის შრომის ნაყოფიერებას. მინდვრები სარეველებისაგან იწმინდება. უზრუნველყოფილია ნიადაგის მაღალხარისხოვანი დამუშავება შემდეგი წლის მოსავლისათვის. შარშან ეს მეთოდი გამოყენებულ იქნა ალტაის მხარესა და ომსკის ოლქში 10 ათასზე მეტ ჰექტარ ფართობზე.

ტექნიკურმა საბჭომ მაღალი შეფასება მისცა ჩატარებულ ცდებს. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გადაწყვიტა მოაწყოს წელს მარცვლეული კულტურების მოსავლის კომპლექსური აღება და ნიადაგის მზრალად დამუშავება ასეულ ათასობით ჰექტარ ფართობზე ჩვენი ქვეყნის მარცვლეულის ძირითად რაიონებში: უკრაინაში, ყუბანში, ციმბირსა და ვოლგისპირეთში. (საკდესი).

პროტესტი ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის გემის „როსიის" დაკავების წინააღმდეგ

18 მარტს ამერიკის ხელისუფლებმა ყადაღა დაადეს ნიუ-იორკში ჩასულ საბჭოთა გემს „როსიას". არსებული ცნობების თანახმად, ამერიკის ხელისუფალნი ცდილობენ თავიანთი ეს უკანონო მოქმედება ახსნან ორი მგზავრის სასამართლო ძიებით, რომლებიც თითქოს დაშავებულან გემ „როსიაზე" ზღვაში რყევის დროს.

საბჭოთა საელჩომ, საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ შეუწყნარებელია ყადაღა დაედოს გემს, რომელიც უცხო სახელმწიფოს ეკუთვნის და ამიტომ სასამართლო იმუნიტეტით სარგებლობს, ამასთან პროტესტი განაცხადა ამერიკელ ხელისუფალთა აღნიშნული მოქმედების წინააღმდეგ. საელჩომ აგრეთვე განაცხადა, რომ იგი დაუყოვნებლივ ზომებს მოელის ამერიკელ ხელისუფალთა ასეთი უკანონო მოქმედების აღსაკვეთად, აგრეთვე იმისათვის, რომ ასეთი შემთხვევა აღარ განმეორდეს.

(საკდესი).

საბჭოთა მშენებლობა

სასოფლო საბჭო და საგაზაფხულო ხვნა-თესვა

დაიწყო ახალი სტალინური ხუთწლედის მესამე წლის გაზაფხული. საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღდა საგაზაფხულო სამუშაოები. გურჯაანის სასოფლო საბჭოში შემავალ ჟდანოვის, ტელმანის, ბაქრაძის, კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუციაში" ორგანიზებულად მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნა-თესვა. ამ კოლმეურნეობებში ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ წელს ვადაზე ადრე უზრუნველჰყო საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვის გეგმის შესრულება.

კოლმეურნეობათა წარმატებებში სერიოზული წვლილი შეაქვს გურჯაანის სასოფლო საბჭოს (აღმასკომის თავმჯდომარე ი. შაშიაშვილი). სასოფლო საბჭო აქტივზე დაყრდნობით ყოველდღიურ დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს, საგაზაფხულო ხვნა-თესვის საკითხი არაერთხელ განუხილავს სასოფლო საბჭოს სესიას და საბჭოს აღმასკომს და მიუღია პრაქტიკული გადაწყვეტილებანი შემდგომი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, თებერვალში სასოფლო საბჭოს სესიაზე მოსმენილ იქნა სასოფლო საბჭოს უბნის აგრონომის ი. იმერლიშვილის მოხსენება კოლმეურნეობებში საგაზაფხულო ხვნა-თესვის მიმდინარეობის შესახებ. გამოირკვა, რომ ამ მხრივ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იყო. მაგალითად, კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუციაში" საგაზაფხულო ხვნაზე ყოველდღიურად გეგმით უნდა ემუშავნა ცხრა გუთანს, ფაქტიურად კი მარტო ორი გუთანი მუშაობდა. კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო ხვნა-თესვაზე სულ არ მუშაობდნენ გამწევი ძალით. ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7 გუთნისა, საგაზაფხულო ხვნაზე მუშაობდა მხოლოდ ერთი გუთანი. მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ბაქრაძისა და ტელმანის სახელობის კოლმეურნეობებში. სწორედ ამიტომ იყო, რომ კოლმეურნეობებში სანახევროდაც არ სრულდებოდა ხვნა-თესვის ყოველდღიური დავალება. მოსავლიანობის გადიდების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასუქი. კოლმეურნეობები კი ნიადაგში სასუქის შეტანას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ზოგან არ იყო დაკომპლექტებული ბრიგადები, არ ჰყავდათ შერჩეული რგოლის ხელმძღვანელები. ხუთივე კოლმეურნეობას აკლდა ლობიოს თესლი და სხვ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ი. მანიჟაშვილმა, გ. აკოფაშვილმა, ნ. კახაბერმა, ი. გუგულაშვილმა, ა. კასრელიშვილმა, ვ. ზავრაშვილმა, ა. მთიულიშვილმა და სხვებმა მუშაობის გაუმჯობესებისათვის მრავალი საყურადღებო წინადადება შემოიტანეს.

სესიამ კონკრეტული ღონისძიებანი დასახა. კოლმეურნეობათა გამგეობებს დაევალა ყველა უნარიანი კოლმეურნეები ჩაებათ საკოლმეურნეო შრომაში, საგაზაფხულო ხვნა-თესვის საქმეში სრული დატვირთვით გამოეყენებინათ მუშა-პირუტყვი, სასწრაფოდ მოეწყოთ მინდვრად ნაკელის გატანა. ღონისძიების რამდენიმე მუხლი მასობრივ მუშაობის გაძლიერებას ითვალისწინებდა. სესიამ ხვნა-თესვის სამუშაოების მიმდინარეობის ყოველდღიური შემოწმება დაავალა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ი. შაშიაშვილს.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი სათავეში ჩაუდგა სესიის მიერ დასახულ ამოცანათა შესრულებას. კოლმეურნეობებმაც გამოასწორეს ხვნა-თესვის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი.

სარწყავი არხების წესრიგზე მოყვანა უმნიშვნელოვანესი საქმეა. სასოფლო საბჭოს აღმასკომმა სპეციალურად განიხილა ეს საკითხი. გამოირკვა, რომ ჟდანოვის, ტელმანის, ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებში სარწყავი არხის წესრიგზე მოყვანას სასხვათაშორისო საქმედ სთვლიან. ამ ნაკლის გამოსასწორებლად დაისახა სათანადო ღონისძიებანი, რომლებიც უკვე განხორციელდა.

სასოფლო საბჭო ყოველდღიურად ზრუნავს აგრეთვე საკოლმეურნეო სოფლის მოსახლეობის კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, სოფლის შარაგზებისა და ხიდების შეკეთებისათვის, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვისა და სწავლა-განათლებისათვის.

სოფლის საბჭოსთან შექმნილია მუდმივი კომისიები — ჯანმრთელობის, საგზაო, სოფლის მეურნეობის, განათლების, საფინანსო და სხვები. ყველა კომისიას აქვს სამუშაო გეგმა, რომელსაც ისინი ასრულებენ.

სასოფლო საბჭო ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციისა და აღრიცხვის მოწესრიგების საკითხებს. ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში აღრიცხვა არეულ-დარეულია. კოლმეურნეებს მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე გამომუშავებული შრომადღეები ჩაწერილი არა აქვთ შრომადღეების აღრიცხვის წიგნში. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით კი შრომადღეები წიგნში უნდა იწერებოდეს ყოველ ხუთ დღეში. ზოგან გამომუშავების ნორმებიც არა აქვთ. კოლმეურნეობა „ოქტომბრის რევოლუციაში" საანგარიშო დარგის ოთხი მუშაკი მუშაობს. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ კოლმეურნეებს აღრიცხვის წიგნში ჩაწერილი არა აქვთ იანვრიდან დღემდე გამომუშავებული შრომადღეები. ეს საკითხი სასოფლო საბჭოს აღმასკომს აქამდე ვერ შეუმჩნევია.

სოფლის სრული საშუალო სკოლის ეზო მოუწყობელია, შემოღობილი, გამწვანებული არ არის და სხვ. ეს საკითხი აღმასკომის სხდომაზე მოისმინეს 12 თებერვალს. დადგენილებაც გამოიტანეს სკოლის გამწვანებისა და შემოღობვის შესახებ. დადგენილების შესრულების ვადად 10 მარტი დააწესეს. ვადის შემდეგაც საკმაო დრომ განვლო, მაგრამ დადგენილება მაინც შეუსრულებელი დარჩა. საბჭოს წინ, სოფლის ცენტრში არსებული ბაღიც მოუწყობელია.

სასოფლო საბჭოს აღმასკომმა დეპუტატებისა და აქტივისტების გამოყენებით ბოლშევიკურად უნდა იბრძოლოს მოპოვებული წარმატების განმტკიცებისა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

შ. ჭოჭუა
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

აფხაზეთი

სახელმწიფო მუზეუმის ნაშრომი

აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ რუსულ ენაზე გამოსცა სოხუმის სახელმწიფო მუზეუმის შრომების პირველი წიგნი, რომელშიც დაბეჭდილია აფხაზეთში წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებსა და საარქივო მასალებზე დაყრდნობილი გამოკვლევები.

მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი ლ. სოლოვიოვი თავის გამოკვლევაში სოხუმისა და ოჩამჩირის ახლოს მარილის უძველესი სარეწების არსებობისა და ქალაქ დიოსკურიის (ცხუმის) შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის. ასევე ძვირფას მასალებს შეიცავენ: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ი. ანთელავას წერილი „XVII — XVIII საუკუნის აფხაზეთში ფეოდალური ურთიერთობის საკითხისათვის", ა. მელიხოვის წერილი „ს. ორჯონიკიძე აფხაზეთში 1905 წელს", გ. ძიძარიას წერილი „1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წინ აფხაზეთის მდგომარეობის საკითხისათვის", ი. აჯანჯალიასა და ი. აძინბას წერილი „მასალები აფხაზეთის ტანსაცმლის შესწავლისათვის" და სხვ.

ნაშრომი ილუსტრირებულია მატერიალური ძეგლების ფრაგმენტებისა და ისტორიული ადგილების ფოტოსურათებით, შეიცავს 338 გვერდს და ღირს 20 მანეთი. რედაქტორია ვ. ხუბულავა.

თევზის ანაბეჭდი

აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში ინახება 1-მეტრიანი თევზის ანაბეჭდი. იგი აფხაზეთის ერთ-ერთ კირიან მთის კლდეში იყო ჩარჩობილი და ამ რამდენიმე ხნის წინათ იქნა ამოღებული. სპეციალისტების დასკვნით, ეს თევზი ცხოვრობდა მაშინ, როდესაც კირიანი მთები ზღვის ფსკერს წარმოადგენდნენ. ზღვის ფსკერის ამაღლების დროიდან მეცნიერება 5 მილიონ წელს ანგარიშობს, და ასეთი თევზიც სწორედ მაშინ ცხოვრობდა.

საკოლმეურნეო ელსადგური

გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობები თავიანთი ძალებით აგებენ 120 ცხენის ძალის ელექტროსადგურს.

საფუძველი ჩაეყარა ელსადგურის მთავარ შენობას. მდინარე თეთრი წყლიდან სამ კილომეტრ მანძილზე გაჭრილია არხი. შეძენილია ტურბინები, რკინის ბოძები და სხვა მასალა. მშენებლობისათვის გადადებულია 675 ათასი მანეთი. ელსადგური ამუშავდება 1 მაისისათვის.

სადგური დენს მიაწოდებს სტალინის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობისა და რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობებს, აგრეთვე აგურის ქარხანას, ხე-ტყის სახერხ ქარხანას და წისქვილს, რომელთა მშენებლობაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეების თათბირი ავსტრიის საკითხებზე

ლონდონი, 31 მარტი. (საკდესი). საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები ავსტრიის საკითხთა შესახებ დღევანდელ სხდომაზე განაგრძობდნენ იმ საკითხის განხილვას, რომელიც შეეხება ავსტრიის მიერ ყოფილი გერმანული აქტივებისათვის საერთო თანხის გადახდას, რასაც ავსტრიას საბჭოთა კავშირი უთმობს.

ამ საკითხზე გამოსულმა საბჭოთა წარმომადგენელმა კოკტომოვმა განაცხადა: „როგორც ცნობილია, მოადგილეთა თათბირის განსახილველად იანვარში წარმოდგენილი საბჭოთა წინადადება ითვალისწინებდა, რომ ავსტრიის საბჭოთა კავშირის მიერ მისთვის დათმობილი ყოფილი გერმანული აქტივებისათვის, ორი წლის განმავლობაში გადაეხადა საერთო თანხა 200 მილიონი დოლარის რაოდენობით. ამასთან, როგორც საბჭოთა დელეგაცია უკვე აღნიშნავდა, ავსტრიისათვის დასათმობი აქტივების ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება დასახელებულ თანხას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბჭოთა დელეგაციამ შეთანხმების მიღწევის მიზნით ერთ-ერთ შემდგომ სხდომაზე გააკეთა ახალი დათმობა და აღნიშნული თანხა—200 მილიონი დოლარი 175 მილიონ დოლარამდე შეამცირა. საბჭოთა დელეგაცია, რომელიც ხელმძღვანელობს იმავე მოსაზრებებით, რომ საჭიროა უსწრაფესად დაიდოს ავსტრიის ხელშეკრულება და, კერძოდ, გადაიჭრას ავსტრიაში გერმანული აქტივების საკითხი, მზად არის გააკეთოს შემდგომი დათმობა ამ საკითხში. საბჭოთა დელეგაციის მხედველობაში აქვს, რომ სხვა დელეგაციებიც დაეთანხმებიან მას, და მზად იქნება აღნიშნული თანხა 175 მილიონ დოლარიდან 150 მილიონ დოლარამდე შეამციროს, ამასთან ეს თანხა თავისუფლად კონვერტირებული ვალუტით გადახდილ იქნას 6 წლის განმავლობაში.

იმედი მაქვს, რომ ამ შემდგომ დათმობას, — სთქვა კოკტომოვმა,—და იმ ნაბიჯს, რომელსაც ამით საბჭოთა დელეგაცია სდგამს სხვა დელეგაციების სურვილის დასაკმაყოფილებლად, ისინი ღირსეულად შეაფასებენ“.

ამის შემდეგ გამოსულმა სამი სხვა დელეგაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს დიდი მნიშვნელობა საბჭოთა ახალი დათმობისა, რომელიც თავმჯდომარის — ინგლისის წარმომადგენელ მარჩბენქსის სიტყვით, პრაქტიკულ ბაზას ჰქმნის საერთო თანხის საკითხის გადასაწყვეტად. მაგრამ აღნიშნულმა დელეგაციებმა თავი აარიდეს საკითხის არსებითად განხილვას და განაცხადეს, რომ მათთვის საჭიროა დრო დღეს შემოტანილი საბჭოთა წინადადების შესასწავლად. ამის ნაცვლად ამერიკის წარმომადგენელმა რებერმა, რომელსაც მხარი დაუჭირეს ინგლისისა და საფრანგეთის დელეგატებმა, წინადადება შეიტანა საერთო თანხის საკითხის არსებითად განხილვამდე წინასწარ განხილულ იქნას საკითხები მოგებათა გატანის შესახებ, ავსტრიისათვის დასათმობი აქტივების ჯადაცემის ვადა და სხვა მეორეხარისხოვანი საკითხები

საბჭოთა წარმომადგენელმა კოკტომოვმა პასუხი გასცა ამ წინადადებებზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯერ პრინციპულად უნდა გადაიჭრას განსახილველად დასმული მთავარი საკითხი და არ გართულდეს იგი მეორეხარისხოვანი ან ისეთი საკითხებით, რომელთაც გერმანულ აქტივებთან დამოკიდებულება არა აქვთ. ეს საკითხები შეიძლება დაისვას თავის დროზე თითოეული დელეგაციის განსახილველად და შეიძლება გადაიჭრას, თუ პრინციპულ საკითხზე შეთანხმება მიღწეულ იქნა

მდგომარეობა საფრანგეთში

პარიზი, 31 მარტი. (საკდესი) როგორც ცნობილია, იმ მოლაპარაკების შედეგად, რაც თებერვლის ბოლოს პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და მთავრობას შორის ძოხდა, პროფკავშირები დათანხმდნენ მარტის ბოლომდე არ წამოეყენებინათ მოთხოვნა ხელფასის გადასინჯვის შესახებ იმ პირობით, თუ მთავრობა ამ დროისათვის მოახერხებს ფასების შემცირებას სულ ცოტა 10 პროცენტით. უკანასკნელ ხანს საერთო ეკონომიური მდგომარეობა საფრანგეთში არ გაუმჯობესებულა. კერძოდ, გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ ერთი ოჯახის ნორმალური თვიური ხარჯი, რაც 1947 წლის ნოემბერში 25.000 ფრანკს შეადგენდა, 1948 წლის მარტში 26.536 ფრანკამდე გადიდდა.

დღეს გამოქვეყნდა მთავრობის მთელი რიგი დეკრეტები ზოგიერთი საქონლის ფასების „შემცირების“ შესახებ, სახელდობრ: შალის ქსოვილებისა—10 პროცენტით, შალის მზა ტანისამოსისა—6 პროცენტით, მუშათა ფეხსაცმლისა—5 პროცენტით და სხვ.

„ლუმანიტე“ კომენტარს უკეთებს ამ დეკრეტებს და სწერს: „უნდა ვაღიაროთ, რომ ღონისძიებანი მთლიანად საზოგადოებრივი აზრის იმედის გაცრუებას გამოიწვევენ. ისინი არ ეხებიან კვების იმ პროდუქტების ფასებს, რომლებიც ოჯახის ბიუჯეტის სულ მცირე 60 პროცენტს შეადგენენ. ამრიგად, ფასებისა და ხელფასის წონასწორობის პრობლემა გადაუჭრელია“.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ბიურომ განიხილა ხელფასისა და ფასების საკითხი მთავრობის ახალ დეკრეტთან დაკავშირებით და დაადასტურა, რომ „წონასწორობა ხელფასსა და ფასებს შორის კვლავ არ არის აღდგენილი“. ბიურომ სრულიად დასაბუთებულად მიიჩნია მუშათა მოთხოვნა 20 პროცენტით ხელფასის გადიდებისა 1947 წლის 1 დეკემბრიდან და თვეში 12.900 ფრანკის რაოდენობით საცხოვრებელი მინიმუმის დაწესების შესახებ.

წინასაარჩევნო კამპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 31 მარტი. (საკდესი). ამერიკის არმიის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა გენერალმა პარქსმა, რომელიც, როგორც ჩანს, ეიზენჰაუერის სახელით გამოვიდა, განაცხადა, რომ ეიზენჰაუერი „არავითარ შესაძლო გარემოებაში“ არ დათანხმდება თავისი კანდიდატურა დაასახელოს პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიისაგან. ეიზენჰაუერს თავისი პოზიცია არ შეუცვლია იანვარში გაკეთებული განცხადების შემდეგ და პარქსი არ ფიქრობს, რომ ეიზენჰაუერი დათანხმდეს კამპანიაში მონაწილეობას.

მიუხედავად ამისა, თათბირზე ნიუ-იორკში 29 მარტს ეგრეთწოდებული ლიბერალური პარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს დემოკრატიული პარტიისაგან ეიზენჰაუერის კანდიდატად დასახელებას. ამრიგად, ეს რეზოლუცია წარმოადგენს ფორმალურ უარს ტრუმენისათვის მხარდაჭერაზე.

თუმცა პარქსის მიერ 29 მარტს გაკეთებულმა განცხადებამ, უეჭველია, შეამცირა ეიზენჰაუერის კანდიდატურის დასახელებისაკენ მიმართული მოძრაობა, იგი მაინც არ გამორიცხავს დემოკრატიულ პარტიაში იმის მისწრაფებას, რომ მოხსნან ტრუმენის კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე და გამონახონ მისი შემცვლელი.

გაზეთ „პ. მ.“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, მან შეიტყო, რომ დემოკრატიული პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა ამას წინათ მიიღო ათასობით დეპეშა და წერილი, რომლებიც მოითხოვენ ტრუმენის შეცვლას რომელიმე სხვა კანდიდატით.

ტრუმენის უკანასკნელმა პრეს-კონფერენციამ ცხადჰყო, რომ მას განზრახვა არა აქვს უარი სთქვას პრეზიდენტის პოსტზე მისი კანდიდატურის წამოყენებაზე.

ბრძოლა რესპუბლიკურ პარტიაში პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატის დასახელებისათვის აგრეთვე ძლიერდება. პირველადი არჩევნები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, განზრახულია ვისკონსინის შტატში 6 აპრილს და ნებრასკის შტატში—13 აპრილს. პრეზიდენტის პოსტზე შესაძლო კანდიდატმა დიუიმ განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს მომავალ კვირაში იმოგზაუროს ორივე შტატში. სენატორ ტაფტსაც განზრახული აქვს იმოგზაუროს ნებრასკის შტატში. ამ მგზავრობის დროს იგი აპირებს სიტყვების წარმოთქმას. ვისკონსინის შტატში მოხდება დიუის, მაკარტურისა და სტასენის მომხრეთა ძალების, ხოლო ნებრასკის შტატში — დიუის, სტასენის, ტაფტის, პორენის, ვანდენბერგისა და მარტინის მომხრეთა ძალების გასინჯვა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტის 25 მილიარდ დოლარამდე გადიდების პროექტი

ვაშინგტონი, 31 მარტი. (საკდესი). სენატის შეიარაღებული ძალების საქმეთა კომისიის სხდომაზე, რომელმაც განიხილა სამხედრო პროგრამა, შესდგა კამათი სამხედრო ბიუჯეტის წლიურად 25 მილიარდ დოლარამდე გადიდების შესაძლებლობის შესახებ.

კომისიის წევრმა მორზემ (რესპუბლიკური პარტია) აღნიშნა, რომ ახლანდელი ბიუჯეტი ითვალისწინებს სამხედრო ხარჯებისათვის თითქმის 11 მილიარდ დოლარს და გარდა ამისა—6 მილიარდზე მეტ დოლარს უკანასკნელი ომით გამოწვეული ხარჯების დასაფარავად და ა. შ. მან განაცხადა, რომ დამატებით 3 მილიარდი დოლარის ასიგნების შედეგად, რაც ნაციონალური თავდაცვის მინისტრმა ფორესტოლმა მოითხოვა, მთელი ხარჯები შეადგენს თითქმის 20 მილიარდ დოლარს, ხოლო სამხედრო პროგრამის ხარჯების შემდგომი გადიდება გამოიწვევს ამ თანხის საერთო გადიდებას თითქმის 25 მილიარდ დოლარამდე.

ტრუმენის წარმომადგენლის გამგზავრება პორტუგალიაში, ესპანეთსა და იტალიაში

ნიუ-იორკი, 30 მარტი. (საკდესი). პრესის ცნობებით, ტრუმენის წარმომადგენელი ვატიკანთან მაირონ ტეილორი ნიუ-იორკიდან იტალიაში გაფრინდა. მან განაცხადა, რომ ვატიკანს მიემგზავრება პრეზიდენტის მიერ დავალებული მისიით და იტალიაში უნდა ჩავიდეს არჩევნების დღემდე — 18 აპრილამდე. ტეილორი წინასწარ ეწვევა ლისაბონსა და მადრიდს.

როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი მადრიდიდან იუწყება, ტეილორს ლისაბონში თათბირი იქნება სალაზართან, ხოლო მადრიდში სამი დღის ვიზიტის დროს შეხვდება ფრანკოს.

საომარი მოქმედება საბერძნეთში

ბელგრადი, 31 მარტი. (საკდესი) თავისუფალი საბერძნეთის რადიოსადგურმა გადასცა ელეფთერო ელადის სააგენტოს ცნობა, რომელ- [illegible]

[illegible] რისანი არიან ჩვენი ფიზიკური უნარის შესახებ. ჩვენზეა დამოკიდებული ეს აზრი ვაქციოთ ჩვენდამი პატივისცემად“. როგორც რადიოსადგური [illegible]

კომპარტიის პრაღის საოლქო ორგანიზაციის კონფერენცია

პრაღა, 30 მარტი. (საკდესი). 27 და 28 მარტს პრაღაში შესდგა კომუნისტური პარტიის პრაღის საოლქო ორგანიზაციის მე-4 მორიგი კონფერენცია, რომელსაც 2.000-მდე დელეგატი დაესწრო. კონფერენციამ შეაჯამა ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი პოლიტიკური ამბების შედეგები და დასახა კომუნისტების წინაშე პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეობის დარგში მდგომი მორიგი ამოცანები.

საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ კროსნარჟმა და საოლქო კომიტეტის მდივანმა ნოვოტნიმ თავიანთ მოხსენებებში აღნიშნეს კომუნისტური პარტიის განუწყვეტლივ მზარდი გავლენა ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, აგრეთვე კომუნისტების გადამწყვეტი როლი შინაური და საერთაშორისო რეაქციის გაერთიანებული ძალების განადგურებაში, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ ჩეხოსლოვაკიაში ძველი ბურჟუაზიული წყობილების აღდგენა.

ნოვოტნიმ თავისი მოხსენების დიდი ნაწილი მიუძღვნა პარტიული მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებს და კომუნისტური პარტიის რიგების ზრდას. თუ ერთი წლის წინათ პრაღის საოლქო ორგანიზაციაში 204 ათასი წევრი ითვლებოდა, ამჟამად 305 ათასი კომუნისტი ითვლება.

კონფერენციაზე ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი ამბების შესახებ ვრცელი სიტყვით გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრი გოტვალდი. გოტვალდმა განაცხადა, რომ რეაქციის ძალებსა და დემოკრატიის ძალებს შორის მომხდარ შეტაკებაში გაიმარჯვა სახალხო დემოკრატიამ. გაიმარჯვეს მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

მაგრამ გოტვალდმა გააფრთხილა კომუნისტები, რომ თავბრუ არ დაეხვიოთ წარმატებათაგან, და მოუწოდა მათ ფხიზელნი იყონ.

შემდეგ გოტვალდი შეჩერდა კომუნისტური პარტიისა და ნაციონალური ფრონტის წინაშე მდგომ მთელ რიგ კონკრეტულ ამოცანებზე.

კერძოდ მან ხაზი გაუსვა მოღალატე ელემენტებისაგან სახელმწიფო აპარატისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წმენდის დამთავრების საჭიროებას და აღნიშნა პარტიის ამოცანები მთელი მისი ძალებისა და ხალხის ძალების მობილიზაციის საქმეში ორწლიანი გეგმის ვადამდე, 28 ოქტომბრისათვის—ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის 30 წლისთავისათვის—შესასრულებლად და საგაზაფხულო თესვისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით ჩასატარებლად.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოწონებულია პარტიის საოლქო კომიტეტის საქმიანობა და ხაზგასმულია პრაღის კომუნისტთა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი თებერვლის ამბების დროს რეაქციასთან ბრძოლაში ხალხის მასების გამარჯვების მოპოვებაში.

კონფერენციამ პრაღის ორგანიზაციის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია იოსებ კროსნარჟი, მდივნად ანტონინ ნოვოტნი.

27 და 28 მარტს შესდგა კომუნისტური პარტიის საოლქო კონფერენციები პლზენსა და ქალაქ გავლიჩკო ბროდში.

ქალაქ პლზენში საოლქო კონფერენციაზე ჩეხოსლოვაკიის პოლიტიკური განვითარების შესახებ მისი განთავისუფლების მომენტიდან უკანასკნელ დღეებამდე მოხსენებით გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი სლანსკი. მომხსენებელმა განაცხადა, რომ პარლამენტის მომავალ არჩევნებში კომუნისტურმა პარტიამ უნდა განამტკიცოს გამარჯვება, რომელიც მან რეაქციის ძალებზე უკანასკნელ ხანს მოიპოვა.

გავლიჩკო ბროდში საოლქო კონფერენციაზე სიტყვები წარმოსთქვეს ვაჭრობის მინისტრმა კრაიჩირმა და პარლამენტის დეპუტატმა გაცლავ დავიდმა.

გერმანელები დასავლეთი ზონებიდან მასობრივად გადმოდიან გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონაში

ბერლინი. 28 მარტი. (საკდესი). გერმანიის პრესის ცნობებით, უკანასკნელ ხანს გერმანელები დასავლეთი ზონებიდან სულ უფრო მეტი რაოდენობით გადადიან გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონაში. გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდის“ სიტყვით, დასავლეთი ზონებიდან მუშებისა და მოსამსახურეების გაქცევის ძირითადი მიზეზია შიმშილი, დემოკრატიული ორგანიზაციების დევნა, მძიმე საბინაო პირობები, უმუშევრობა.

დასავლეთი ზონებიდან დამშეული მოსახლეობის გაძლიერებული გადასვლა გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონაში საბჭოთა ზონის მომარაგებისა და ვაჭრობის ორგანოებს მძიმე მდგომარეობაში აყენებს საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ოკუპაციის საბჭოთა ზონაში გაცემულია 214 ათასით მეტი სასურსათო ბარათები, ვიდრე წინა კვარტალში. მომხმარებელთა რაოდენობის ასეთი ზრდა არ შეიძლება აიხსნას მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის ციფრებით. შემდეგში, დამშეულ ლტოლვილთა განუწყვეტელ გადასვლასთან დაკავშირებით სურსათით მომარაგების პრობლემა შესაძლოა უაღრესად სერიოზული გახდეს.

დასავლეთი ზონებიდან ოკუპაციის საბჭოთა ზონაში არალეგალური გადასვლის მასშტაბს მოწმობს აგრეთვე ტიურინგიის შინაგან საქმეთა მინისტრის ეგერატის განცხადება პრეს-კონფერენციაზე ვაიმარში. მან განაცხადა, რომ 1947 წლის დეკემბრიდან 1948 წლის მარტამდე, მესაზღვრე პოლიციის ცნობების თანახმად, სადემარკაციო ხაზი არალეგალურად გადაიარა და ოკუპაციის ინგლისური და ამერიკული ზონებიდან ტიურინგიის მხარეში გადავიდა 74.000-ზე მეტი კაცი.

დაკითხვის ოქმები გვიჩვენებენ, სთქვა მან, რომ ზონალური საზღვრის არალეგალური გადასვლა მეტწილად გამოწვეულია დასავლეთ გერმანიაში სამეურნეო ცხოვრების დეზორგანიზაციით, უმუშევრობით, სოციალური გაჭირვებითა და შიმშილით.

იმ პირთა მეორე ნაწილს, რომლებიც ზონალურ ხაზს არალეგალურად გადადიან, აღნიშნავს ეგერატი, შეადგენენ სისხლის სამართლის დამნაშავე და სხვა ელემენტები, რომლებსაც მტრული ძალები ჰგზავნიან. ეს აგენტები და პროვოკატორები ქურდობის, ყაჩაღობის და სხვა დანაშაულობათა ჩადენის გზით ცდილობენ დააბრკოლონ აღმოსავლეთი ზონის ნორმალური განვითარება. საზღვარზე არალეგალურად გადამავალ პირებს ეკუთვნიან აგრეთვე ყოფილი ფაშისტი აქტივისტები, რომლებიც წინათ განდევნილ იქნენ საბჭოთა ზონიდან და ამჟამად თავმოყრილი არიან დასავლეთში. ამ ელემენტებს ახლა თავის „პოლიტიკურ ამოცანად“ მიაჩნიათ ის, რომ ხელი შეუშალონ ოკუპაციის საბჭოთა ზონაში პროგრესულ განვითარებას. უკანასკნელი თვეების განმავლობაში შეპყრობილ იქნა 388 ასეთი დამნაშავე.

საქსონია-ანგალტის მხარიდან მიღებული ცნობის თანახმად, მხოლოდ უკანასკნელი დღეების განმავლობაში ამ მხარის სასაზღვრო რაიონებში მოხდა 30 შეიარაღებული თავდასხმა საზღვართან მდებარე სოფლების მცხოვრებ გლეხთა სახლებზე.

მარიენბორნში ამას წინათ დააპატიმრეს ბანდა, რომელსაც ბრაუნშვაიგელი ფრანც შაიდერი ხელმძღვანელობდა. ბანდიტები აყაჩაღებდნენ მგზავრებს, ართმევდნენ რაც რამ გააჩნდათ, აგრეთვე თავს ესხმოდნენ მეზობელი სოფლების გლეხთა სახლებს. მარიენბორნის ჩრდილოეთით პოლიციამ დააპატიმრა სამი კაცი —შოლცი, შტუბე და ბრაუერი, რომლებიც აღმოჩნდნენ ინგლისის 909-ე „მუშათა ბატალიონის“ ჯარისკაცები. ისინი ძარცვის მიზნით გადავიდნენ საბჭოთა ზონაში.

გაზეთი „ტეგლიხე რუნდშაუ“ იუწყება შემთხვევის შესახებ, რომელიც შუქსა ჰფენს ინგლისის ზოგიერთი ორგანოს დამოკიდებულებას ამ სისხლის სამართლის დამნაშავეთადმი. ამას წინათ დაპატიმრებულმა იან მაიაციკმა, რომელიც სამჯერ იყო დაპატიმრებული ბანდიტური თავდასხმისათვის, განაცხადა: „საპყრობილიდან იმ პირობით გამათავისუფლეს, რომ ბიზონიაში აღარ ჩავიდენდი ძარცვას. იმის წინააღმდეგი კი არავინ ყოფილა, რომ საბჭოთა ზონაში მეძარცვა ხალხი. ინგლისური სატვირთო ავტომანქანით მომიყვანეს ოკუპაციის საბჭოთა ზონის მოსაზღვრე რაიონში“.

ასობით სპეკულანტი ყოველდღე ცდილობს ოკუპაციის საბჭოთა ზონიდან არალეგალურად გაზიდოს დასავლეთ ზონებში სურსათი, სადღეგრძელო და სხვა საქონელი. სპეკულანტთა რაოდენობა მუდამდღე მატულობს, რაც ძლიერ აძნელებს მათთან ბრძოლას, ზრდის ბანდიტიზმს და საზღვართან მდებარე სოფლების მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს.

ამას წინათ მეკლენბურგის მხარის ლანდტაგის სხდომაზე სასაზღვრო რაიონის დეპუტატმა ვისმარ მორტიცმა განაცხადა, რომ მეკლენბურგის მხარიდან სურსათის არალეგალურად გადატანა ბრიტანეთის ზონაში განუწყვეტლივ იზრდება. „ეს ოინები,—სთქვა მან,—სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ. რადგან ეს ხდება ჩვენი მშრომელი მოსახლეობის სასურსათო მომარაგების ხარჯზე“.

ტიურინგიის მხარის ლანდტაგის სხდომაზე დეპუტატმა ვილი ალბრეხტმა მოიყვანა მრავალი ფაქტი, რომლებიც ახასიათებენ ამერიკული ზონიდან გადასულ მაროდიორთა დანაშაულობებს.

მაგალითად, ცნობილია, რომ მეინინგენის რაიონში ამერიკული ზონიდან გადასულმა ბრბომ, რომელსაც სისხლის სამართლის დამნაშავე კესლერი მეთაურობს, ერთ-ერთი ქარხნიდან გაიტაცა საბურღავი ჩარხები და სხვა ძვირფასი მოწყობილობა. ნაძარცვი ქონება დამნაშავეებმა ამერიკულ ზონაში გაიტანეს.

ბლანკენბურგში ბანდიტთა ბრბომ ამერიკულ ზონაში გაიტანა ხე-ტყის სახერხი ქარხნის ნაძარცვი მოწყობილობა. (საკდესი).

პროფკავშირული არჩევნები ბერლინში

ბერლინი, 31 მარტი. (საკდესი). ბერლინში პროფკავშირულ არჩევნებთან დაკავშირებით გრძელდება გააფთრებული ბრძოლა. დასავლეთი სექტორებისა და „დამოუკიდებელი პროფკავშირული ოპოზიციის“ გაზეთები იყენებენ სიცრუისა და ცილისწამების გზელსიძეულ მეთოდებს და ცდილობენ დაამტკიცონ პროფკავშირული ოპოზიციის „წარმატება“. მაგრამ წინასწარი ცნობები გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანების რაიონულ კონფერენციებისა და ცალკეული პროფკავშირების დარგობრივ კონფერენციებზე კანდიდატთა დასახელების მსვლელობის შესახებ მოწმობენ ბერლინში პროფკავშირული გაერთიანების მომხრეთა უეჭველ გამარჯვებას. ეგრეთწოდებული „დამოუკიდებელი პროფკავშირული ოპოზიციის“ მეთაურები იძულებული არიან აღიარონ თავიანთი პოზიციების სისუსტე პროფკავში- [illegible] ნობას ეწევა და დადებითი პროგრამა არ გააჩნია. მისი სიტყვით, მას აქვს „დაუწერელი პროგრამა, რომელიც ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ იბრძოლოს გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანებისა და მისი პოლიტიკის წინააღმდეგ და „მარშალის გეგმის“ მომხრეობისათვის“.

ამ მიტინგზე, ისე როგორც პროფკავშირული ერთიანობის გამთიშველთა ყველა სხვა მიტინგსა და კრებაზე, წამოყენებული არ ყოფილა მუშათა კლასის არავითარი საარსებო მოთხოვნა და ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ოპოზიციას დასაყრდენი არ გააჩნია ფართო პროფკავშირულ მასებში.

როგორც გაზეთი „ტრიბუნე“ იუწყება, არჩევნების წინასწარი შედეგები 25 მარტისათვის ასეთია: 1.584 საარჩევნო უბანში გერმანიის თავი- [illegible]

ამერიკის სენატმა დაამტკიცა კანონპროექტი ჩინეთისათვის „დახმარების“ გაწევის შესახებ

ვაშინგტონი, 31 მარტი. (საკდესი). [illegible]

უნგრეთის მშრომელები იწონებენ მრეწველობის ნაციონალიზაციის კანონპროექტს

ბუდაპეშტი, 30 მარტი. (საკდესი) უნგრეთის გაზეთები კვლავ აქვეყნებენ გამოხმაურებას მთავრობის გადაწყვეტილებაზე იმ საწარმოთა ნაციონალიზაციის შესახებ, რომლებშიც 100 და მეტი მუშა მუშაობს.

უნგრეთის ოპტიკური ქარხნების მუშათა დეპეშაში ნათქვამია: „უნგრეთის ოპტიკური ქარხნების მშრომელები აღფრთოვანებით და სიხარულით შეხვდნენ უნგრეთის დემოკრატიული მთავრობის ახალ კანონპროექტს, რომელიც ახალი ეპოქის დასაწყისს მოასწავებს. ეს ჩვენს სახალხო დემოკრატიას სოციალიზმს მიუახლოვებს. ქარხნების მუშები თავიანთი ენერგიული შრომითა და შეჯიბრებით მხარს უჭერენ ამ კანონპროექტს“

უნგრეთის ტექნიკური ინტელიგენცია მატიას რაკოშისა და ერნე გერესადმი გაგზავნილ დეპეშაში სწერს: „ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ ეს ნაბიჯი დააჩქარებს სამწლიანი გეგმის შესრულებას და ამით აამაღლებს მშრომელთა საარსებო დონეს“.

გაზეთი „საბად ნეპი“ სწერს, რომ უნგრეთის კომპარტიის გენერალური მდივნის მატიას რაკოშისა და ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელზე მსხვილი საწარმოების მუშების, მეშახტეების, გლეხების, ქალაქების მუნიციპალიტეტებისაგან დიდი რაოდენობით მოდის დეპეშები, რომლებშიც მიესალმებიან მთავრობის გადაწყვეტილებას ყველა მსხვილი საწარმოს ნაციონალიზაციის შესახებ.

რუმინეთში პარლამენტის არჩევნების წინასწარი შედეგები

ბუქარესტი, 30 მარტი. (საკდესი). იუსტიციის სამინისტროს მიერ მიღებული წინასწარი ცნობებით, დიდი ეროვნული კრების არჩევნებში 8.417.465 კაციდან, რომლებიც ამომრჩეველთა სიებში იყვნენ, ხმა მისცა 7.663.375 კაცმა, ე. ი. 91,04 პროცენტმა. სახალხო დემოკრატიის ფრონტის სიას ხმა მისცა 90,80 პროცენტმა, „დამოუკიდებელთა“ კანდიდატების სიას—3,21 პროცენტმა, ბეკანის ეროვნულ-ლიბერალური პარტიის სიას—2,79 პროცენტმა და ლუპუს პარტიას—0.66 პროცენტმა, ბიულეტენების ნაწილი გაუქმებულია.

რუმინეთის პრესა დიდი ეროვნული კრების არჩევნების შესახებ

ბუქარესტი, 31 მარტი. (საკდესი). ყველა გაზეთი მოწინავე სტატიებს უძღვნის დიდი ეროვნული კრების 28 მარტს ჩატარებულ არჩევნებს სტატიაში სათაურით „რუმინელმა ხალხმა ხმა მისცა სახალხო რესპუბლიკას“ გაზეთი „უნივერსული“ სწერს:

„რუმინეთის ისტორიას არ ახსოვს მოსახლეობის ასეთი აქტიური მონაწილეობა არჩევნებში. ეს აქტივობა მოწმობს, რომ რუმინელი ხალხი სავსებით უჭერს მხარს სახალხო რესპუბლიკის რეჟიმს, აგრეთვე მოწმობს მის მაღალ პოლიტიკურ სიმწიფეს. არჩევნები მჭევრმეტყველურად ადასტურებენ რუმინელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებას — სამუდამოდ შეინარჩუნოს ბრძოლით მოპოვებული ხელისუფლება“.

28 მარტის არჩევნები,—აცხადებს გაზეთი „რომინია ლიბერია“,—დამაჯერებლად მოწმობს სახალხო დემოკრატიის წყობილების სიმტკიცესა და უპირატესობას რუმინელმა ხალხმა ხმა მისცა რესპუბლიკას და ვალდებულება იკისრა შეასრულოს მის წინაშე მდგომი დიდი ამოცანა—უფრო განავითაროს და განამტკიცოს სახალხო დემოკრატია, აღმოფხვრას რუმინეთის ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა. რუმინელი ხალხის მიერ არჩევნებში მოპოვებული გამარჯვება ახალი ლახვარია იმპერიალისტური ბანაკისათვის, ახალი წვლილია მშვიდობისა და დემოკრატიის საქმეში“.

[illegible]

ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ბელგიის ელჩი ბ-ნი გოფენი

2 აპრილს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო სსრ კავშირში ბელგიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბ-ნი ლ. გოფენი მის მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის თავის რწმუნებების სიგელთა მომავალ გადაცემასთან დაკავშირებით. (საკდესი).

პრემიერა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

2 აპრილს მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მორიგ პრემიერად უჩვენებს ვ. დარასელის კომედიას „გამახარე“. პიესაში ასახულია საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრება.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი შ. ღამბაშიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ქ. დაუშვილი, აკ. კვანტალიანი, ა. ომიაძე, მ. სარაული, გ. შავგულიძე, შ. ჯაფარიძე და სხვები.

დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს გ. ქურულს. მხატვრულად აფორმებს ი. აკურავა, მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა რ. ლაღიძემ, ქორეოგრაფია ჯ. ბაგრატიონი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორიუმი

1948 წლის აპრილში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხსენებებს წაიკითხავენ:

პროფესორი ტ. ათაბეგოვი თემაზე: „სახალხო დემოკრატიის ქვეყნები“ (2 აპრილს, საღამოს 8 საათზე).

პროფესორი მ. ნოდია—„დედამიწის მაგნეტიზმი, პოლარული ნათება. იონოსფერო და მისი მნიშვნელობა რადიოგადაცემისათვის“ (ფიზიკის აუდიტორიაში, 5 აპრილს, დღის 3 საათზე).

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ვ. იმედაძე—„ოსტროვსკი და საქართველო“ (7 აპრილს, დღის 3 საათზე).

დოცენტი ი. ხუციშვილი—„რუსეთის სახელმწიფოებრივი საკითხისათვის—კიევის რუსეთი“ (9 აპრილს, საღამოს 8 საათზე).

დოცენტი ვ. ხუხია—„ქიმიური მრეწველობის განვითარება საბჭოთა კავშირში“ (12 აპრილს, დღის 3 საათზე).

პროფესორი ს. ყაუხჩიშვილი — „ბიზანტოლოგია და რუსული მეცნიერება“ (15 აპრილს, დღის 3 საათზე).

გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ზარდალიშვილი — „ინდოეთის დანაწილების ინგლისური გეგმა“ (17 აპრილს დღის 3 საათზე).

პროფესორი ვ. ბერიძე—„ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ისტორიისათვის“ (20 აპრილს, დღის 3 საათზე).

დოცენტი ი. ბაჯაძე—„სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის შესახებ“ (22 აპრილს, დღის 3 საათზე).

დოცენტი გრ. ერემოვი—„საბჭოთა და ბურჟუაზიული ფედერაცია“ (24 აპრილს, დღის 3 საათზე).

დოცენტი ვ. ფრანგიშვილი—„XVIII საუკუნის ქართული ფსიქოლოგიური აზროვნებისათვის“ (26 აპრილს, დღის 3 საათზე).

დოცენტი პ. თავბერიძე—„კავკასიის კავშირის [illegible]

[illegible]

პასუხისმგებელი რედაქტორი [illegible]

[illegible]

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 4 აპრილს

[illegible]

ტირაჟი 110.000